# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 26 ოქტომბერი 1996 №111 (336) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი 13 ტური

| | | |
|---|---|---|
| დინამო | 4:1 | გურია |
| ტორპედო | 3:1 | სამგურალი |
| დილა | 0:0 | ბათუმი |
| სიონი | 1:1 | გორდა |
| იბერია | 2:1 | სამტრედია |
| ოდიში | 4:1 | კოლხეთი |
| შევარდენი | 0:0 | მარგვეთი |
| კახეთი | 1:0 | მერანი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 10 | 0 | 0 | 47:9 | 30 |
| კოლხეთი | 13 | 9 | 1 | 3 | 32:18 | 28 |
| ბათუმი | 11 | 9 | 1 | 1 | 34:5 | 28 |
| მერანი | 13 | 7 | 2 | 4 | 21:16 | 23 |
| მარგვეთი | 12 | 7 | 1 | 4 | 23:13 | 22 |
| გურია | 13 | 6 | 2 | 5 | 16:23 | 20 |
| ოდიში | 12 | 6 | 1 | 5 | 20:11 | 19 |
| დილა | 13 | 4 | 5 | 4 | 11:13 | 17 |
| სამტრედია | 13 | 5 | 0 | 8 | 14:25 | 15 |
| ტორპედო | 13 | 4 | 1 | 8 | 23:32 | 13 |
| გორდა | 13 | 4 | 1 | 8 | 22:30 | 13 |
| სამგურალი | 13 | 4 | 1 | 8 | 12:29 | 13 |
| შევარდენი | 12 | 3 | 4 | 5 | 13:18 | 13 |
| კახეთი | 13 | 4 | 0 | 9 | 6:31 | 12 |
| სიონი | 13 | 3 | 2 | 8 | 9:16 | 11 |
| იბერია | 13 | 3 | 2 | 8 | 12:26 | 11 |



# რამაზ ფალიანი დაბრუნდება, თუ...



წლევანდელი ოქტომბერი ყრილობისთვეა ჩვენი სპორტისთვის — თითქმის ყველა ფედერაციის გამგეობა თუ პრეზიდიუმი ოთხწლიანი მუშაობის ანგარიშს აბარებს თავის უმაღლეს ორგანოს ანუ ყრილობას.

გამონაკლისი არც კრივის ფედერაციაა, ოღონდ სხვაობაც არის — ფედერაციის გამგეობამ გუშინწინ გამართულ რიგგარეშე ყრილობაზე მხოლოდ უკანასკნელი ცხრა თვის საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა, დღის წესრიგში არც პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნის არჩევნები ყოფილა, რადგან ეს მოკრივეებმა ამ ცხრა თვის წინ უკვე გააკეთეს.

წლის დამდეგიდან დღემდე გაკეთებულის ანგარიში ყრილობას წარუდგინა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კიკნაველიძემ. მან გამგეობის მუშაობა და ჩვენი მოკრივეების შედეგები საერთაშორისო სარბიელზე დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

გენერალური მდივნის სიტყვაში ყველაზე საინტერესო იყო ის, რომ, როგორც თავად ბრძანა, ნოემბრის დასაწყისში თბილისში ჩამოვა რუსეთის ნაკრების წევრი ჩვენი თვისტომი რამაზ ფალიანი. მისი საქართველოში დარჩენა-არდარჩენა კი იმაზე ყოფილა დამოკიდებული, როგორ საყოფაცხოვრებო პირობებს შესთავაზებენ მას საქართველოს სპორტის მესვეურნი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული სპორტის მამები არაფერს დაიშურებენ საიმისოდ, რომ რამაზმა საქართველოს სახელით იასპარეზოს.

ზურაბ კიკნაველიძემ აღნიშნა — ქართველ მოკრივეებს ოლიმპიადაზე ბედი რომ ჰქონოდათ, სამ მედალს უეჭველად აიღებდნენო, კრივის საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგის მიხედვით, თავიანთ წონებში კობა გოგოლაძე მეორე, ხოლო გიორგი კანდელაკი მეოთხე ადგილებზე არიანო.

გენერალური მდივნის შემდეგ თანამოხსენებით გამოვიდა ნაკრების უფროსი მწვრთნელი როლანდ კვაჭაძე.

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჯანო ბაგრატიონმა ილაპარაკა კრივის თვალსაჩინო აღმავლობაზე საქართველოში და ფედერაციას ყოველნაირ ხელშეწყობას დაპირდა. ისიც თქვა, თუმცა ქართველმა მოკრივეებმა ატლანტაში მედალი ვერ მიიღეს, მაგრამ მათი იქ გამოსვლა გმირობის ტოლფასი იყოო.

„სპორტისა და კრივის განვითარების ფონდის" საქმიანობის შესახებ ისაუბრა ფონდის პრეზიდენტმა გიორგი ფარულავამ.

ეს ფონდი მართლაც რომ საშურად საქმიანობსო, აღნიშნა უკლებლივ ყველა გამომსვლელმა. ფონდი სულ რაღაც ორი თვეა არსებობს და მისი ძალისხმევით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეკრებების მოწყობაც მოხერხდა და საქართველოს ღია ჩემპიონატის გამართვაშიც ლომის წილი ფონდისააო, ითქვა.

მართალია, ყრილობის დღის წესრიგი არ ითვალისწინებდა ვიცე-პრეზიდენტების არჩევას, მაგრამ ვინაიდან ისინი დე-ფაქტოდ საქმიანობდნენ, რადგან წინა ყრილობას იურიდიულად არ „გაუფორმებია", ვიცე-პრეზიდენტებად აირჩიეს არჩილ გორდელაძე და პეტრე მამრაძე.

და ბოლოს: ყრილობაზე დაისვა საკითხი, ყოფილი მოკრივე და ამ სპორტის დიდი ტრფიალი, აწ კი უშიშროების მინისტრი შოთა კვირაია საპატიო პრეზიდენტად აგვირჩიოთო. ყრილობამაც ერთხმად დაუჭირა მხარი მინისტრის საპატიო პრეზიდენტად არჩევას.

**ერეკლე კიკილაშვილი**

# დავით ყიფიანი: ვინ ითამაშებს „დინამოში", ეს ჩემი საქმეა...



ხვალ, დილის სამ საათზე თბილისის „დინამო" პორტუგალიას გაფრინდება. მანამდე კი, დილმის ბაზაზე შევხვდით გუნდის მთავარ მწვრთნელს დავით ყიფიანს, რომელიც დაფიქრებული, მაგრამ მაინც ოპტიმისტურად განწყობილი გვეჩვენა.

**— „ბოავიშტასთანაც" იმავე შემადგენლობას გამოიყვანთ, რომელიც თურქმენეთის ნაკრებთან ითამაშეთ?**

— ეს აბსურდია. თუ ვინ გამოვა მოედანზე 29-ში, თამაშის დღეს გადავწყვეტ და საერთოდ, ვინ ითამაშებს გუნდში, ეს ჩემი და მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტია. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, იწვევს თუ არა ამა თუ იმ ფეხბურთელს ქვეყნის რომელიმე ნაკრების ხელმძღვანელობა. თუ ის ჩემს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, შემადგენლობაში ვერ მოხვდება. ჩემი ეს გადაწყვეტილებანი კი ჯერჯერობით ამართლებს. ფაქტია: გუნდმა, რომელშიც ექვს ფეხბურთელს ჯერ 20 წელიც არ შესრულებია, უეფას თასზე სამი წრე გაიარა. დაუმარცხებელი არავინაა და, შესაძლოა, „დინამოც" ადრე თუ გვიან დამარცხდეს, მაგრამ დღეს ის გუნდია — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

**— პორტუგალიაში კალაძე და მაჭავარიანი ვერ ითამაშებენ...**

— ეს დიდი დანაკლისია, მაგრამ ისეთი ფეხბურთელებიც გვყავს, რომლებსაც ძალუძთ მათი სრულფასოვანი შეცვლა. ნუნუ გომეშის წინააღმდეგ ჯელაძე, ლობჯანიძე, დიდავა ანაც კობიაშვილი ითამაშებს პერსონალურად.

**— ცვლილებები თუ იქნება ტაქტიკურ სქემაში?**

— ორი ვარიანტი მაქვს: პირველი ორი თავდამსხმელით თამაშს ითვალისწინებს, მეორე კი ისეთივეა, როგორითაც თბილისში ვითამაშეთ, ოღონდ მასში აუცილებლად იქნება სიახლე.

**— „ბოავიშტის" ფეხბურთელები რომ ფიზიკურად მშვენივრად არიან მომზადებულნი, ამაში თბილისშიც დავრწმუნდით. გამოყოფილებთ ჩვენების ფიზიკური მზადყოფნის ხარისხი?**

— ფიზიკის მხრივ გუნდში კატასტროფული მდგომარეობა ნამდვილად არ არის. ეს თურქმენებთან მატჩმაც დაგვანახა: დინამოელებმა მეტოქეს აშკარად აჯობეს მეორე ტაიმში.

„ბოავიშტა" ძალისმიერ ფეხბურთს კი თამაშობს, მაგრამ თუ მაგრად დაუდექი, უკან იხევს და ფრთხილად გეთამაშება. თანაც მათზე ფსიქოლოგიური მომენტიც იქონიებს გავლენას: მათ ორი ბურთის სხვაობით უნდა მოიგონ. ამიტომაც ვთვლი, რომ პორტუგალიელებს თამაშის სადავეები არ უნდა დავუთმოთ და მწვავე კონტრშეტევებს მივმართოთ.

დიდი მნიშვნელობა ექნება იმასაც, თუ როგორი მსაჯობა იქნება. მოგეხსენებათ, მსაჯებს „დინამო" გულზე დიდად არ ეხატებათ და უმეტეს შემთხვევაში მათი გადაწყვეტილებანი ძალზე არაობიექტურია. ნორვეგიაში არბიტრმა მეორე ტაიმს 9 წუთი წაამატა, არადა, თამაში თითქმის არ შეწყვეტილა, თბილისში კი „ბოავიშტასთან" რა მსაჯობაც იყო, თავად იხილეთ.

**ერეკლე კიკილაშვილი**

# ცხადაძე და „სითი": წინასწარი გარიგება შედგა

გუშინ საღამოს ჩვენს სიტყვებს შევეხმიანე ტელეფონით, კახი ცხადაძის მანჩესტერში გადასვლის თაობაზე ახალი ხომ არაფერი იცით-მეთქი, ეს მაინტერესებდა. ქინქლაძე ვერა და ყაველაშვილი კი მოვიხელთე როგორც იქნა და მისგან ეს შევიტყვე:

— „კახი ახლახან იყო მანჩესტერში, „სითისთან" წინასწარ კონტრაქტს მოაწერა ხელი და გერმანიაში გაბრუნდა. ორშაბათს კვლავ უნდა ჩამოვიდეს სამედიცინო შემოწმების გასავლელად, ამას მორჩება და ისევ უკან წავა ორი კვირით. ამ ხნის მანძილზე, აქაური წესის თანახმად, ვიზას და ბრიტანეთის კუნძულებზე მუშაობის უფლებას უნდა დაელოდოს. ამათ რომ მიიღებს, ჩამოვა და „სითიში" ჩვენთან ერთად თამაშსაც დაიწყებს...

**ზურაბ მექვევლია ლონდონიდან**

# აზარაშვილმა დისტანცია შეიცვალა

საოქტომბრო ყრილობების ჯერმა ჩვენს მძლეოსნებსაც უწიათ. გუშინ გამართულ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს თამაზ მდინარაძე, ვიცე-პრეზიდენტებად იმუშავებენ ყარამან საბანაშვილი და ჯემალ ჯიქურაული. გენერალურ მდივნად კი დასახელდა და აირჩიეს კიდევაც ის ადამიანი, ვისაც ძალიან კარგად იცნობენ ჩვენებური სპორტის მოყვარულები — ცნობილი ქართველი სპრინტერი ქალი მაია აზარაშვილი.

# «დინამო» კალათებს ავსებს

**ვერის ბაღი.**

**24 ოქტომბერი. დინამო — მერანი 137:53, აზოტი — იმერეთი 106:65, შევარდენი — კოლხა 87:55. 25 ოქტომბერი. დინამო — კოლხა 146:56, აზოტი — მერანი 83:54, შევარდენი — იმერეთი 103:63.**

საკალათბურთო ჩემპიონატში მეორე ექვსეული ჩაება, გუნდებს შორის თანაფარდობა კი თითქმის ისეთივეა, როგორიც პირველ ექვსეულში. ერთი სუპერგუნდი (რა თქმა უნდა, საქართველოს მასშტაბით), ერთი კარგი, ერთიც საშუალო, დანარჩენი — აუტსაიდერები. თუმცა ეს პირველი ორი დღის შთაბეჭდილებაა.

ვიცე-ჩემპიონ „დინამოში" ცვლილებებია. თამაშს თავი დაანებეს გასული წლის საუკეთესო კალათბურთელმა გელა დარსაძემ და ნიკო ჩერქეზიშვილმა. დაშავებულია ირაკლი ვაშაკიძე, მაგრამ ასეთ სიტუაციაშიც „დინამოს" კლასთან ახლომახლოც არავინაა ამ ჯგუფში. „ვითასგან" განსხვავებით, რომელმაც ევროტურნირში დაძაბული მატჩების შემდეგ ნახევარი გუნდი დაასვენა, თამაშს მონატრებული დინამოელები ისეთი ძალით ეკვეთნენ მეტოქეებს, რომ შეიძლება იფიქრო, საფუძვლიანად გადაუწყვეტიათ გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა. მსოფლიოს საკალათბურთო ისტორია ისე არ ვიცი, რომ რეკორდები აღვნუსხო, მაგრამ თვითონ განსაჯეთ: პირველ ტურში „დინამომ" „მერანი" 81 ქულის სხვაობით დაამარცხა. რომ მეგონა, კარგა ხნის რეკორდი იქნებოდა საქართველოს ჩემპიონატებისთვის, მეორე ტურში „კოლხა" უფრო დიდი სხვაობით — 90 ქულით განადგურდა 146:56, თანაც უკვე პირველ ტაიმში დინამოელებმა 81 ქულის მოგროვება მოასწრეს. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, როდესაც „ვითას" და „დინამოს" კლასი მაღლა-მაღლა იწევს, მაგრამ ასეთი სხვაობები გუნდებს შორის ეროვნული ჩემპიონატისთვის მართლაც შეუფერებელია. თუმცა, ეს რა ლიდერთა ბრალია.

ცვლილებებია მესამე პრიზიორ რუსთავის „აზოტშიც". აღარ თამაშობენ ვეტერანები პაატა გურასპაული და გიორგი ბერუაშვილი. მიშა ბერუაშვილი კი, მოგეხსენებათ, „ვითაში" გადავიდა. სანაცვლოდ გუნდში მოვიდნენ ირაკლი ჯაფარიძე, რომელიც საბერძნეთში თამაშობდა, და ახალგაზრდა, ძალზე პერსპექტიული ვლადიმერ ბოისა, რომელიც შარშან „ვითაში" გამოდიოდა. ამიტომ რუსთაველთა გუნდს, რომელიც ადრეც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო ჩემპიონატში, სიმაღლეში უპირატესობა ბევრ მეტოქესთან კვლავ დარჩა და როგორც ამ ორი ტურიდან გამოჩნდა, ოსტატობაშიც. რუსთაველებს არ გასჭირვებიათ მეტოქეთა დამარცხება და მათაც დაამყარეს ამ ჩემპიონატის რეკორდი: მეორე ტურში „მერანმა" თამაშის პირველ ნახევარში რუსთაველებს მხოლოდ 16 ქულა ჩაუგდო. კარგად შეეწყვნენ გუნდს ბოისა და ჯაფარიძე, თუმცა უფრო საინტერესო იქნება მათი თამაშის ყურება ძლიერ მეტოქეებთან.

მესამე გუნდი, უდანაკარგოდ რომ ასპარეზობს, „შევარდენია", რომელმაც ორი თამაში ჯერჯერობით არათბილისურ გუნდებთან ითამაშა და ოსტატობის დამტკიცება შემდეგ ტურებში მოუწევს.

**კოტე მგალობლიშვილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 283-109 | 2 |
| შევარდენი | 2 | 190-118 | 2 |
| აზოტი | 2 | 189-118 | 2 |
| იმერეთი | 2 | 128-209 | 0 |
| მერანი | 2 | 106-220 | 0 |
| კოლხა | 2 | 101-233 | 0 |

**შევარდენი 0:0 მარგვეთი**

**შევარდენი:** სიდამონიძე, თელიაშვილი, ვერემჩუკი, თ. კობიაშვილი, მინდიაშვილი, მელქაძე, როსტიაშვილი, კობესაშვილი, კანკავა, ჩუხუა, ჩიგოშვილი (გიორგი ქორიძე 67)
**მარგვეთი:** გ. ბოჭორიშვილი (გვენცაძე), მაღლაკელიძე, ჟვანია, თ. გაბრიჭიძე, ლონლაძე, კაციაშვილი (გ. თურმანიძე 76), სულაძე, გეწაძე, ჯ. წიკლაური, უკლება, ქებაძე
**გაფრთხილება:** გაბრიჭიძე, ლონლაძე, ჩუხუა
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

# ფრე არავის უნდოდა

წინა ტურში განცდილი მოულოდნელი მარცხის შემდეგ „მარგვეთი" ფეხბურთის ქომაგთა თვალში რეაბილიტაციას შეეცადა. თავისთვის სასურველ შედეგს ვერც „შევარდენთან" მიაღწია, მაგრამ დარხეულ ჭორებს, „ოდიშს" თამაში დაუთმოო, საფუძველი გაუმყარა, სხვისი არ ვიცი, მე კი მეეჭვება, „ოდიშს" ზესტაფონში ალალად მოეგო „მარგვეთისთვის".

წინა მატჩს შევეშვათ, გუშინდელზე ვთქვათ, რაკილა ჩვენი ამჯამინდელი მიზანი სწორედ მისი აღწერა და იმაში დარწმუნებაა, რომ სტუმრად ასე ძლიერად მოთამაშე ზესტაფონელები სახლშიც ვაგლახად არავის დააჩაგვრინებენ თავს, თუ საქმეში ძველი ვალი ან სხვა რამ მანქანები არ ჩაერია.

იმით დავიწყებ, რაც ყველაზე სასიამოვნო იყო ამ მატჩში. თამაშს, თამამად ვიტყვი, საქართველოს ყველაზე სამართლიან მსაჯულთა ბრიგადა უძღვებოდა და ამათი გამოისობით გუნდებს არანაირი პრობლემა არ შექმნიათ. არბიტრ სერგო კვარაცხელიას, ავთანდილ სამხარაძე და გოჩა ცირდავა რომ ეხმარებოდნენ, „მარგვეთთან" არაერთი „ტკბილადმოსაგონერი" რამ აკავშირებს, მაგრამ ამჯერად ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია. თანამსაჯები კი, მათთვის ტრადიციულად, უშეცდომოდ მსაჯობდნენ. ასეთ რამეზე კაცმა არც უნდა ილაპარაკო, მაგრამ, ვფიქრობ, დღევანდელ სიტუაციაში არც ზედმეტია.

თამაში დაძაბულად დაიწყო და ასევე გაგრძელდა ბოლომდე. ბრძოლა მოედნის ყოველი გოჯისთვის. ასეთი გახლდათ ორივე გუნდის დევიზი წვიმიან ამინდში. ასეთ უშეღავათო ბრძოლაში დაჯარიმება არცთუ იშვიათი რამ იყო და მეშვიდე წუთზე ჯარიმიდან უკლებას დარტყმულს სიდამონიძე ადგილზე რომ არ დახვედროდა, ანგარიშიც გაიხსნებოდა. ასეთივე თუ მეტი ხიფათი ორივე გუნდის კარს კვლავ არაერთხელ დაემუქრა, მაგრამ გოლი არცერთხელ გასულა, თუ იმ მომენტს არ ჩავთვლით, როცა მაღლაკელიძის მიერ გატანილი ბრწყინვალე გოლი მსაჯებმა სავსებით სამართლიანად თამაშგარედან შეგდებულად ჩათვალეს.

სხვა შემთხვევებში სტუმართაგან ვერ ივარგეს ქებაძემ, წიკლაურმა, ლონლაძემ, უკლებამ და თურმანიძემ. მასპინძელთაგან კი სახიფათო სიტუაცია გოლად ვერ გარდასახეს კობესაშვილმა, მინდიაშვილმა და ჩიგოშვილმა. ეს უკანასკნელი მეკარის ბაქნის ხაზიდან, ჩაწოდებული ბურთის აცილებისთვის კიდეც გამოცვალეს.

ამ შეხვედრის ანგარიშმა ვერცერთ გუნდს კმაყოფილება ვერ მოჰგვარა, მაგრამ, ამასწინათ ერთ-ერთ სტადიონზე გაგონილს თუ მოვიშველიებთ, აქაც ავტოგოლი თუ გავიდოდა, თორემ მეტოქის კარში გამტანი არავინ ჩანდა. აკი დაარტყა კიდეც თავისი ნახევრის შუაგულიდან მაღლაკელიძემ... თავისი კარის მიმართულებით, მაგრამ ბურთი მთლად კარგად ვერ აეჭრა და ჯვარედინს ოდნავ ასცდა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, სერიოზულად კი, ყველაზე სახიფათოდ კარს (მეტოქისას) ლონლაძე და უკლება დაემუქრნენ, მაგრამ პირველის დარტყმა ცარიელი კარიდან თელიაშვილმა გამოიტანა, მეორისა კი, ტრადიციულად, ასცდა.

ჩამონათვალებიდანაც ჩანს, რომ უპირატესობა „მარგვეთს" ჰქონდა, ქებაძემ და წიკლაურმა რამდენჯერმე ვერ გამოიყენეს გოლის გატანის შესაძლებლობა. „შევარდენს" კი ასეთი გამოუყენებელი მომენტებიც არ შეუქმნია ბლომად და, მიუხედავად ამისა, შინ 2 ქულის დაკარგვამ მაინც ძლიერ გააგულისა.

**ნოდარ კიკნაძე, „მარგვეთის" მთავარი მწვრთნელი:** ბიჭები მგზავრობამ დაღალა, მაგრამ ჩემი გუნდით უკმაყოფილო მაინც არა ვარ. იბრძოლეს. დღესდღეობით მთავარი გამძლეობა და ფიზიკაა და ამაში მასპინძელებს ჩამოვრჩით. რაც ვუთხარი გუნდს, ის დავალება ბოლომდე ვერ შეასრულა. გუშინ რომ ჩამოვსულიყავით, ალბათ, სხვა შედეგი იქნებოდა, თუმცა იმინაც დაგვამძიმა, რომ აუცილებლად უნდა მოგვეგო.

„შევარდენისაგან" მეტს ველოდი, ისეთიც ვერაფერი სახიფათო მომენტები შეგვიქმნა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

**კახეთი 1:0 მერანი**

**კახეთი:** ასლანიძე, ა. ბოჭორიშვილი, ტარუღაშვილი, ა. წიკლაური, ნაჟუდაიძე, ჭვრიტიძე, გ. ლობჟანიძე, ჯაშიაშვილი (მამისაშვილი 77), შონია, ბაბულაიძე, ლვინიაშვილი
**მერანი:** დოლიძე, ივანიშვილი (თოლორდავა 70), არჩვაძე, ჯიშკარიანი, გოგიბერიშვილი, ლ. ამბიძე, კვარაცხელია, მაზიაშვილი (დანელია 46), ჭოლოყავა (კენჭიაშვილი 64), დავითაშვილი, პერტია
1:0 ჭვრიტიძე (67)
90-ე წუთზე ჭვრიტიძემ ვერ გამოიყენა პენალტი
**მსაჯი:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

# კახელთა ფინანსური რომანსი

ფული რომ ფეხბურთში ბევრს ნიშნავს, ამის დასტურად ეს მატჩიც იკმარებს. „კახეთში" მნიშვნელოვანი ცვლილებებია. გუნდის ფინანსური გაჭირვების თაობაზე 18 ოქტომბერს კახეთის რეგიონის სამხარეო ადმინისტრაციის სხდომაზე იმსჯელეს და გადაწყვიტეს, შეიქმნას გუნდის დირექტორატი, რომელშიც რეგიონის რაიონების გამგებლები გაერთიანდებიან და გუნდს ფინანსურად უზრუნველყოფენ. ერთი სიტყვით, ამიერიდან „კახეთს" რეგიონი შეინახავს. ქართულ ფეხბურთში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გუნდი რეგიონის დოტაციაზე იქნება. გუნდის პრეზიდენტად კი დასახელდა რეგიონის პოლიციის სამმართველოს უფროსი თამაზ თამაზაშვილი. სამწუხაროდ, მასთან შეხვედრა ვერ მოვახერხე, რადგან თელავში რუს სტუმრებს ელოდებოდნენ და მათი დახვედრით იყო დაკავებული. მაგრამ პრეზიდენტის არყოფნაშიც შევიტყვეთ ბევრი საინტერესო ამბავი. გუნდის უფროსის გოჩა როსტომაშვილის თქმით, მოთამაშეებს დავალიანების დიდი ნაწილი გაუსტუმრეს. მოვლენებს წინ გავუსწრებ და აქვე ვიტყვი, რომ გამარჯვების შემდეგ ფეხბურთელებს უმალ დაურიგდათ პრემიები. ახლა მწვრთნელის ვაკანტურ თანამდებობაზე ვთქვათ. თელავში წინა დღეს ჩასული ჯონი ჯანელიძე დაგვხვდა, რომელიც, ალბათ, გახდება კიდეც „კახეთის" მთავარი მწვრთნელი. ყოველი შემთხვევისთვის, მან თამაშის შემდეგ მოთამაშეებს ვარჯიშის დღეც დაუნიშნა. თუმცა, თავად ჯანელიძის თქმით, საბოლოო დასტური მას კახელთათვის არ მიუცია. როგორ პირობებს შემომთავაზებენ, იმას გააჩნიაო.

მოედანზე ჩამოწოლილი ნისლი შეხვედრის დაწყებამდე გაიფანტა და მალე თამაშიც დაიწყო. სტუმრებს ძირითადი შემადგენლობის სამი მოთამაშე აკლდათ: ორი გაფრთხილების გამო ვერ ითამაშებდა კაკუბავა, ქორიძე წრის ბოლომდეა დისკვალიფიცირებული, ხორხელი კი ტრავმას შეუწუხებია. არადა, მერანელთა „ხერხემალი" სწორედ ქორიძე-ხორხელის წყვილია და, ბუნებრივია, უამათოდ სტუმრებს ძალიან გაუჭირდათ. ამას დაუპირისპირდა თელაველთა შემართება და ზემოთ რომ ალვნიშნე, იმ მიზეზით გამოწვეული ენთუზიაზმი. მოკლედ, აუტსაიდერთა და ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის შეხვედრის ხასიათი ამ ფაქტორებმა განაპირობა. ასეთ რთულ ვითარებაში „მერანის" მთავარ მწვრთნელს ტაქტიკური ექსპერიმენტების ჩატარება მოუხდა: ჩვეულებრივ დაცვის ცენტრში ან ნახევარდაცვაში მოთამაშე გოგიბერიშვილი მარცხენა ფლანგზე წასწია. ჰავბეკი პერტია კი ცენტრში გადმოანაცვლა.

თელაველებში აშკარად გამოირჩეოდა მენისკმორჩენილი და ერთი წლის უთამაშებელი გოჩა ჭვრიტიძე, რომელსაც, სხვათა შორის, ცხვირისთვის თავი დაუნებებია. პირველი სახიფათო მომენტი სწორედ მისი მონაწილეობით გათამაშდა. მე-13-ე წუთზე ბაბულაიძისგან ყველა საჯარიმოს დარტყმას ელოდა, მან კი თავისუფალი ჭვრიტიძე მოძებნა. თუმცა გოჩას დარტყმისას მერანელთა მეკარე დოლიძემ ივარგა და ახლო მანძილიდან დარტყმული კუთხურზე მოიგერია. კუთხურიდან გათამაშებული კომბინაცია კართან ახლოს მდგომ ლვინიაშვილს გოლით შეეძლო დაესრულებინა, თუმცა ვერ იხეირა.

პირველ ტაიმში მასპინძლებს სხვა რეალური მომენტი არც ჰქონიათ. სტუმრებიც, თავის მხრივ, თავს არ ზოგავდნენ, და მაინც, „მერანი" შორს იდგა მისთვის ჩვეული თამაშისგან. ამის მიუხედავად სტუმრებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, თუმცა კვარაცხელიამ და დავითაშვილმა შესაძლებლობები ვერ გამოიყენეს.

მეორე ტაიმი უფრო საინტერესო გამოდგა. 58-ე წუთზე დავითაშვილმა თელაველთა ერთ-ერთ მცველს ბურთი „მოჰპარა" და მშვენიერი გადაცემით პერტიას კომბინაციის კარგად გაგრძელების შანსი შეუქმნა „კახეთის" საჯარიმოს სიახლოვეს, თუმცა ამან დააყოვნა. მცველებიც მიუახლოვდნენ და ვითარება განიმუხტა. 63-ზე კი თავად დავითაშვილს შეუქმნა არჩვაძემ მსგავსი ვითარება და ვერც „აბრეზამ" ივარგა.

67-ე წუთი მერანელთათვის დრამატული გამოდგა. საჯარიმოს გათამაშების შემდეგ მარჯვენა ფლანგზე ბურთი ბოჭორიშვილმა მიიღო და დაუხანებლად საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი ჭვრიტიძე აღმართა მაღალ ნახტომში და მშვენიერი თავურით გოლი გაიტანა. ამის მერე თამაში გაიხსნა. მერანელებმა ასლანიძის კარზე იერიშები მიიტანეს და თელაველებსაც კონტრშეტევების საშუალება გაუხშირდათ. მალე, 76-ე წუთზე მეორე გოლის გატანაც შეეძლოთ ჯაშიაშვილი-ბაბულაიძე-ჭვრიტიძის სწრაფი კომბინაციის შემდეგ, მაგრამ ჭვრიტიძის დარტყმული დოლიძემ „დაამიწა". 82-ზე კი „მერანს" უნდა გაეთანაბრებინა ანგარიში: წიკლაურის გადაცემული ბურთი ასლანიძემ ხელში დაიჭირა, დაინიშნა თავისუფალი დარტყმა მეკარის საჯარიმოში, მაგრამ სტუმრებმა ბურთი კარგად ვერ გაათამაშეს — კვარაცხელიამ ამბიძეს დაუტოვა, ამის დარტყმა კი ასლანიძის ლუკმა გახდა. „მერანი" კვლავაც უტევდა და ზუსტად თამაშის ბოლო წუთზე „კახეთის" კიდევ ერთი კონტრშეტევა გაეპარა. ჭვრიტიძე მეკარესთან პირისპირ გადიოდა, ჯიშკარიანმა წააქცია და დაინიშნა პენალტი, რომელიც თავად გოჩამ დაარტყა. დოლიძემ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ „მერანს" ამანაც ვერ უშველა, რადგან შეხვედრის დრო პენალტის დარტყმამდე ამოიწურა.

მოკლედ, პატრონის გამოჩენამ თელაველებს ენთუზიაზმი შემატა და ბრძოლის ჟინიც გაუჩინა. ამ ბრძოლით კი ასე საჭირო სამი ქულა ჩაიწერეს, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს — სადაც ფულია, იქ რომანსებსაც მღერიან. ფეხბურთში კი მოგებაა სწორედ რომანსი.

**მერაბ მამულაშვილი**

**დილა 0:0 ბათუმი**

**დილა:** მდივანი, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ს. გაგნიძე, მარეხაშვილი, გ. ლომიძე, რევაზიშვილი (ფეზუაშვილი 72), წკრიალაშვილი (ტაბატაძე 86), კაიდარაშვილი (ციცქიშვილი 80)
**ბათუმი:** ტოგონიძე, სიჭინავა, მინდიაძე, კანტიძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

# მიეცით და მოგეცემათ

მატჩის დამთავრებას ხუთი წუთი აკლდა, როცა ეროვნულ ჩემპიონატში ნათამაშები მატჩებით რეკორდსმენმა ჯიმშერ მარეხაშვილმა მარჯვენა ფრთიდან ბათუმელთა საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, იქ კი ყველაზე მაღლა ხვიჩა გაგნიძე ახტა და მის წინ მდგომ ხაჭაპურიძეს თავით დაუგდო, ხაჭაპურიძე ბათუმელთა მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, ახლომახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მაგრამ გორელთა მცველმა, იმის მაგივრად, ჭვინტი დაერტყა, ანაც მეკარე მოეტყუებინა და ისე გაეტანა, დაბნეულმა ასპროცენტიანი საგოლე მომენტი გააცუდა, ტოგონიძე ყველაზე ადრე მოეგო გონს და ბურთი ჩაბღუჯა. გადის ორი წუთი და ხაჭაპურიძე ისევ გაჰყავთ ტოგონიძესთან პირისპირ და... მცველი ისევ იბნევა და დარტყმას აგვიანებს! ყველაფერი ეს ბოლო წუთებზე ხდებოდა, ასე რომ, „დილას" გამარჯვება შეეძლო, მაგრამ როგორ ვერ გაიტანა ორჯერ ხაჭაპურიძემ, ჩემთვის გამოცანად დარჩება...

მატჩი კი ორმხრივი შეტევებით დაიწყო და მაყურებლის თვალით მართლაც კარგი სანახავი გახლდათ. ბათუმელთა გუნდის ძალა ყველამ იცის — შინ ლამის „ეინდჰოვენსაც" კი მოუგეს და გორელთა ახალგაზრდული და ფინანსებშერყეული გუნდი ერთი შეხედვით ბდღვნად არ უნდა ჰყოფნოდათ, მაგრამ ნურას უკაცრავად! „დილა" გამუდმებით უტევდა და ხშირად ლიბერო გაგნიძეც კი ჩადიოდა თავდამსხმელთა დასახმარებლად. სიტყვამ მოიტანა და, გაგნიძეს დაცვაში იმ დღეს არაფერი შეშლია და თავდასხმასაც კარგად ეხმარებოდა.

თავდასხმაში კი მეტად აქტიურად თამაშობდნენ 18 წლის კაიდარაშვილი და 19 წლის რევაზიშვილი. პირველი სახიფათო მომენტიც გორელებმა შექმნეს 24-ე წუთზე: ბალაშვილ-კაიდარაშვილის კედელი კაიდარაშვილმა საჯარიმოში ჩაწოდებით დაასრულა, იქ კი რევაზიშვილმა ნახტომი თაურით კარისკენ კი დაარტყა, მაგრამ ააცილა. იქვე კანტიძის პასით ღლონტი ლამის მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა. ამის მერე „ჰოსპიტალობანა" გაჩაღდა, ჯერ უჯმაჯურიძე დაშავდა მძიმედ, მერე კი სიჭინავა, მაგრამ ექიმთა ჩარევის შემდეგ ორივემ გააგრძელა თამაში, ეგ იყო, მომეჩვენა, რომ უჯმაჯურიძეს შიში აეკვიატა და სამ ეპიზოდში მაინც ისე ველარ იხმარა დაშავებული ფეხი, თორემ გორელები ერთ გოლს მაინც „გამორჩებოდნენ".

მეორე ტაიმში, დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ, ტოგონიძემ პატარა სასწაული ჩაიდინა: ჩაწოლილი რევაზიშვილის მიერ ხუთიოდ მეტრიდან ჭვინტით დარტყმული ბურთი გააქვავა! მერე კი მუჯირმა გაილაღა, ზედიზედ სამჯერ უჩვეულო ფინტებით გორელთა მთელი დაცვა მოატყუა, მაგრამ ისე დაარტყა, მეკარეს პირდაპირ ხელებში მიუვიდა ბურთი. მერე მისივე პასით კანტიძემ თაურით ვერ შააგდო, ცოტა ხანში მანვე, ოღონდ ამჯერად ფეხით, ბოლომდე ვერ ივარგა და გორელები ბოლოჯერ გადარჩნენ ამ მატჩში. მერე იყო ის ორი მომენტი, მიმოხილვის დასაწყისში რომ გაუწყეთ...

ვფიქრობ, ფრე ამ მატჩის ლოგიკური შედეგი გახლდათ. „დილას" გულშემატკივარს, ბუნებრივია, მოგება ეწადა და არბიტრ თამაზ ლაცაბიძეზე განრისხდა, პენალტი რატომ არ დადო მატჩის მიწურულსო, მაგრამ სალი გონებით რომ განვსაჯოთ, იმ ეპიზოდში, გორელი თავდამსხმელი ბათუმელთა საჯარიმოში რომ წაიქცა, პენალტი ნაღდად არ იყო. ლაცაბიძემ მეტად კვალიფიციურად იმსაჯა და ამაში ხელი თავად ფეხბურთელებმა შეუწყვეს: არც მასპინძელთ, არც სტუმრებს მსაჯის ერთი გადაწყვეტილებაც არ გაუპროტესტებიათ, ყოველ შემთხვევაში, ხელების შლა არავის დაუწყია. ერთი-ორი წაკინკლავება ფეხბურთელებს შორის, ასე ვთქვათ, ლოკალური ხასიათისა იყო და თავად ფეხბურთელებმავე ალკვეთეს. მოკლედ, ეს იყო მეტად დაძაბული, საინტერესოდ საყურებელი მატჩი, რომელსაც არც დრამატიზმი აკლდა და არც თავისებური ეშხი.

აქვე მინდა გორელთა მწვრთნელის სოსო ვაშაკიძის ტაქტიკურად სწორად გათვლილი სვლებიც ვახსენო. გორელთა თავკაცმა ერთი შეხედვით საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო, როცა მეტად აქტიური რევაზიშვილის, კაიდარაშვილის და წკრიალაშვილის ნაცვლად უფრო დაცვითი ყაიდის მოთამაშენი ფეზუაშვილი, ტაბატაძე და ციცქიშვილი შემოიყვანა. ვაშაკიძემ იგრძნო, რომ ასეთ, ორმხრივი შეტევებით უხვ თამაშში გამოცდილ ბათუმლებს შეეძლოთ გოლის გატანა და ამგვარი ტაქტიკური ცვლილებით დაცვა გააძლიერა. გარდა ამისა, ახალშემოსულებმა ძალა შემატეს „დილას" და ის ზემოხსენებული ორი ნაღდი საგოლე მომენტიც მაშინ შექმნეს გორელებმა.

„ბათუმმა" პირველი ფრე ითამაშა ჩემპიონატში, თანაც მე ამ ქულას მოპოვებულს დავარქმევდი, ისევე, როგორც გორელებისთვისაც. „დილაზე" საუბარი კი იმით უნდა დავამთავრო, რომ კიდევ ერთხელ შევახსენო ქალაქისა თუ რეგიონის ხელმძღვანელობას: „დილას" თუ ელემენტარული პირობები ექნება, უთუოდ შესწევს ძალა, ამ სეზონშივე მოიპოვოს ინტერტოტოს თასის საგზური მაინც. თუ ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს მეორე წრეში მართლა დაემატებიან „გასხვისებული" როინ მარღიშვილი და ზურაბ ხორგუაშვილი, მაშინ, ვფიქრობ, „დილა" შინ დაუმარცხებლად არავის გაუშვებს და სტუმრადაც გვარიანად წამოკრეფს ქულებს.

„დილას" კი თურმე სეზონში, ალია-ბალია, 141 ათასი ლარი სჭირდება...

**მამუკა კვარაცხელია**

**ტორპედო 3:1 სამგურალი**

**ტორპედო:** ნიშნიანიძე, შეყრილაძე, ვ. თურმანიძე, რუხაძე, სადილიანი, ჯინჭარაძე, კვეტენაძე (ს. გიგიაძე 89), გ. მეგრელაძე (ვ. გიგიაძე 68), მ. მეგრელაძე, აშვეთია, ვაჩიბერაძე (შენგელია 87)
**სამგურალი:** ქვაჩახია, ესაიაშვილი, მინაგაძე, გელაშვილი, გ. ჯანელიძე, ფხაკაძე, ჭყონია (ჯურხანძე 68), ფესტვენიძე, ბრეგვაძე (უშვერიძე 46), ხურცილავა, ჯანაშია
1:0 აშვეთია (14), 2:0 აშვეთია (35), 2:1 უშვერიძე (54 პ), 3:1 მ. მეგრელაძე (88)
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

# ქირვეული მეზობლები

„ტორპედო" და „სამგურალი" მეზობლები კი არიან, მაგრამ წელიწადნახევარია, ოფიციალურ მატჩში არ შეხვედრიან ერთმანეთს. მიზეზი მოგეხსენებათ — შარშან წყალტუბოელები II ჯგუფში ასპარეზობდნენ. ამ სეზონის წინ მეზობლები ამხანაგურად ორჯერ შეიბნენ. უპირატესობა გუშინდელ სტუმართა მხარეს იყო: 2:2, 5:1 ამან და „ტორპედოს" შემდგომმა წარუმატებლობებმა „სამგურალი" ისე წააქეზა, რომ ის მოინდომა, რაც წლის 6 მანძილზე არ უქნია. წყალტუბოელები ქუთაისში მოგებას, თამაშამდე უფრო ცდილობდნენ, თორემ შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ მათი გამარჯვებითვე დასრულდა.

მე-14 წუთზე ამ დღეს აქტიურმა ვაჩიბერაძემ მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში ჩააწოდა, საკმაოდ მაღალი ბურთი აშვეთიამ ჩამოხსნა და არც ანგარიშის გახსნა დაახანა. სტუმართათვის მარცხიან დებიუტს ისაც დაერთო, რომ ამათ 3 წუთში გულიც დასწყდათ ძლიერ, როცა ხურცილავას წაქცევისთვის არბიტრმა პენალტი არ დანიშნა. მართალი გითხრათ, მომეჩვენა, რომ თერთმეტმეტრიანი იყო, მაგრამ „სამგურალის" ყოფილ მეკარეს, ამჯერად „ტორპედოში" მოვარჯიშე გელა კიკალეიშვილს თუ ვენდობით, ემზარ ხურცილავას ერთობ სჩვევია საჯარიმოში წაქცევა და რაკი ხშირად დამაჯერებლობა აკლია, პენალტსაც არ აძლევენ.

მე-20 წუთზე გია მეგრელაძემ მარცხენა ფლანგზე მამამისს გადააწოდა ბურთი, მან კი ვაჩიბერაძეს, რომელმაც ორი მცველიც მოატყუა და საჯარიმოშიც ჩააწოდა, მაგრამ მეკარე ქვაჩახიამ ყველას დაასწრო.

35-ე წუთზე „სამგურალის" კარის დარაჯი უძლური დარჩა აშვეთიას ბრწყინვალე თაურთან: თავდამსხმელმა მარჯვენა ფრთიდან შეყრილაძის ჩაწოდებულს ბადეში მიუჩინა ადგილი.

მეორე ტაიმში „სამგურალმა" გარდატეხის შეტანა სცადა. ბრეგვაძე უშვერიძით შეცვალა. ამ უკანასკნელმა სტუმართა ერთადერთი გოლიც გაიტანა, ოღონდ პენალტით, რომელიც სადილიანის მიერ გელაშვილის წაქცევისთვის დაინიშნა. ანგარიშში სხვაობის შემცირებას „ტორპედომ" იერიშებით უპასუხა. 62-ე წუთზე კარგი კომბინაციაც გაითამაშა, მაგრამ ვაჩიბერაძის დარტყმული ქვაჩახიამ კუთხურზე მოიგერია. „სამგურალმა" ერთხელაც კიდევ მოიკრიბა ძალა, ჭყონია ჯურხანძით შეცვალა, მაგრამ თამაშში რაიმე კორექტივების შეტანა მაინც ველარ შეძლო.

მატჩის მიწურულს მასპინძლებმა მიყოლებით განახორციელეს შეცვლები. ამას დროის გაყვანის მიზნითაც აკეთებდნენ, მაგრამ მეორე შეცვლას უკვე სხვა ფუნქცია ეკისრებოდა, რადგან მერებ მეგრელაძემ, შარშან „სამგურალს" I ჯგუფში დაბრუნებაში 31 გოლის გატანით რომ დაეხმარა, 88-ე წუთზე საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და შეხვედრას წერტილი დაუსვა.

ზემოთაღწერილ მომენტთა გარდა საყურადღებო ის გახლდათ, რომ მასპინძლები ხელოვნურ თამაშგარეს ოსტატურად და ხშირად მიმართავდნენ. სამგურალელები კი თანამსაჯ იოსებ ლორთქიფანიძეს ედავებოდნენ და ამასობაში თამაში და უმთავრესი საქმე გვერდზე დარჩათ.

**სოსო ბარქაია**
**ქუთაისიდან**

## რუსეთი

სპარტაკი — როსტსელმაში 1:1. ლოკომოტივი (მ) — როტორი 2:0. ტექსტილშჩიკი — ალანია 0:2. ცსკა — ჩერნომორეცი 1:3. დინამო — ურალმაში 2:0. კამაზი — ტორპედო 2:1. კრილია სოვეტოვი — ზენიტი 1:0. ნოვგოროდი — ჟემჩუჟინა 4:1. ლადა — ბალტიკა 0:5.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 33 | 21 | 6 | 6 | 61:34 | 69 |
| სპარტაკი | 33 | 20 | 9 | 4 | 68:33 | 69 |
| როტორი | 33 | 20 | 7 | 6 | 56:26 | 67 |
| დინამო | 33 | 19 | 7 | 7 | 55:33 | 64 |
| ცსკა | 33 | 19 | 6 | 8 | 56:34 | 63 |
| ლოკომოტივი | 33 | 15 | 10 | 8 | 45:29 | 55 |
| ნოვგოროდი | 33 | 13 | 6 | 14 | 38:47 | 45 |
| კრილია | 33 | 12 | 8 | 13 | 29:36 | 44 |
| ზენიტი | 33 | 13 | 4 | 16 | 31:35 | 43 |
| ბალტიკა | 33 | 11 | 10 | 12 | 40:34 | 43 |
| როსტსელმაში | 33 | 11 | 8 | 14 | 54:55 | 41 |
| ტორპედო | 33 | 10 | 11 | 12 | 40:46 | 41 |
| ჩერნომორეცი | 33 | 10 | 6 | 17 | 34:50 | 36 |
| ჟემჩუჟინა | 33 | 10 | 5 | 18 | 36:51 | 35 |
| კამაზი | 33 | 9 | 6 | 18 | 38:53 | 33 |
| ურალმაში | 33 | 8 | 9 | 16 | 37:55 | 33 |
| ტექსტილშჩიკი | 33 | 4 | 12 | 17 | 24:44 | 24 |
| ლადა | 33 | 4 | 6 | 23 | 17:60 | 19 |

გუშინდელმა სალამომ დიდი მწუხარება მოგვიტანა ქართველ სპორტულ და არა მხოლოდ სპორტულ ჟურნალისტებს, იმ უამრავ ადამიანს, ვისაც ჰქონდა ბედნიერება ემეგობრა და ემუშავა ბატონ ნოდარ გუგუშვილთან — ნიჭით, გონით, კეთილშობილებით და უაღრესი პროფესიონალიზმით გამორჩეულ კაცთან. ოქტომბრის 25

**ნოდარ გუგუშვილის**

სიცოცხლის უკანასკნელი დღე გამოდგა — გულმა უღალატა...
სარბიელელები თანაუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.

# როგორ გახდა ელგუჯა სერგეევიჩი პროფესორი ჯემალი



სიმართლე რომ ვთქვა, თურქმენებისგან მეტს არც ველოდი. ბარხანებისა და გაზის ქვეყანას დიდი საფეხბურთო ტრადიციები რომ არ გააჩნია, ახალი ამბავი არ არის და ამიტომ დინამოელთა გამარჯვება თურქმენთა ნაკრებზე გასაკვირი არც იყო. მაგრამ ეს უნიჭო მოთამაშეები ბურთს გონივრულად რომ აგორებდნენ და ნაკრებს მწვრთნელის ხელი რომ ატყვია, ფაქტია, რაც უდაოდ ქართველი სპეციალისტის, „მორკინალის“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მწვრთნელის **ელგუჯა გუგუშვილის** დამსახურებაა. იგი პირველი ქართველია, ვინც უცხო ქვეყნის ნაკრებს ხელმძღვანელობს. საუბარი ამ შეხვედრით დავიწყეთ.

— ძალიან კარგი თამაში იყო, ვფიქრობ, მაყურებელმა არ მოიწყინა. შედეგი ლოგიკური იყო. მიუხედავად ამისა, მე მგონი, მთლად ცუდი გუნდი არ უნდა მყავდეს.

**— გოგოლაძესთან ერთად ტყავაძეს და ასპინძელაშვილსაც უნდა ეთამაშათ. მოედანზე კი არ გამოსულან...**

— ისინი გარკვეული საკითხების მოგვარების შემდეგ ითამაშებენ.

**— ნაკრების მზადებისთვის საჭირო პირობებს თუ გიქმნიან?**

— პრობლემები არ გვაქვს — შეკრებები, სპორტული ინვენტარი და ჩვენთვის სასურველი ბევრი სხვა რამ არ გვაკლია.

**— თქვენი გუნდი სწორად კი თამაშობდა, მაგრამ კარგი შემსრულებლები აკლია...**

— იცით, რაშია საქმე? თურქმენეთში ოფიციალურად სულ 300 ფეხბურთელია აღრიცხული და რა გასაკვირია, რომ უკეთესი მოთამაშეები არ გვყავს. არჩევანი 20 კაცში მიხდება, ასე რომ, ფაქტიურად, არჩევანი არც მაქვს.

იქ ჩასულებს თავიდან ძალიან გაგვიჭირდა. იყო დღეები, ჰაერის ტემპერატურა 50 გრადუსს აღწევდა. მაგრამ დადგა შემოდგომა და გვეშველა. იქაურებზე კი იმას ვიტყვი, რომ ძალზე თბილად მიგვიღეს. თურქმენეთის ვიცე-პრემიერი ბორის შახმურადოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი თან გვყვებიან. სხვათა შორის, აშხაბადის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად ამირჩიეს.

**— გავიგე თურქმენები ელგუჯას ნაცვლად ჯემალ სერგეევიჩს გეძახიან...**

— პასპორტში ჯემალი მიწერია, თანაც თურქმენებისთვის ჯემალი უფრო ადვილად გამოსათქმელი სახელია, ვიდრე ელგუჯა. ასე გახდა ელგუჯა სერგეევიჩი პროფესორი ჯემალი.

**— თურქმენეთი ეგზოტიკური ქვეყანაა. რაიმე საინტერესოს ხომ ვერ გაიხსენებდით?**

— ერთხელ ბაზარში შევიარე და სახტად დავრჩი — აქლემს ჰყიდდნენ...

**— იყიდეთ?**

— 50 დოლარი დამიფასეს. ეს ხუმრობით, თორემ ეს ამბავი ჩვენთვის თუ უცხოა, მათთვის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გახლავთ.

**— ადრე თქვით, რომ საქართველოს სტუდენტური გუნდის წაყვანას აპირებდით მსოფლიო უნივერსიადაზე. ახლა თურქმენეთში მუშაობთ და, ბუნებრივია, ეს ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელს შეგიშლით...**

— თურქმენეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის თამაშები გაისად ივნისში უმთავრდება. 15 ივნისს ჩემი კონტრაქტის ვადაც იწურება. 16-ში თბილისში ვიქნები. თუ „მორკინალი“ იტალიაში წავა, აუცილებლად გავყვები.

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი — 12 ტური

### კოლხეთი 1:0 ივერია

კოლხეთი: გვასალია, თიბილაშვილი, ტორჩინავა, ინიაშვილი (გიორგაძე 46), ზ. ქობულაძე, ლილანიძე, ბ. ამბიძე (ბულუხია 88), გახოკიძე, სოლოღაშვილი, გ. დიასელია, ყულეჯიშვილი

ივერია: გოგალაძე, ნეკერაშვილი, გ. ლურსმანაშვილი, გ. ლომიძე (ზირაქაძე 78), ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ტყემალაძე (ვეშაპიძე 70), ჩიდუნელი, კომახელიძე, წივწივაძე, შ. ლაცაბიძე

1:0 ქობულაძე (69)

გაფრთხილება: ხარაზიშვილი, ზ. ლაცაბიძე

მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

### ბათუმი 3:1 ტორპედო

ბათუმი: ტოგონიძე, სიჭინავა, მინდიძე (შანიძე 63), კანტიძე (ტრაპაიძე 78), შეყილაძე, თორღაშვილი (ჭიჭველიშვილი 69), მ. მახარაძე, ღლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი

ტორპედო: ნიშნიანიძე, შეყრილაძე (გედენიძე 84), ვ. თურმანიძე, რუხაძე, სადილიანი, ჯინჭარაძე, კვეტენაძე, გ. მეგრელაძე, მ. მეგრელაძე (ს. გოგიაძე 78), აშვეთია, ვაშაყიძე (ვ. გოგიაძე 41)

1:0 თორღაშვილი (27), 2:0 კანტიძე (32), 2:1 მ. მეგრელაძე (43), 3:1 უჯმაჯურიძე (57 პ)

### მარგვეთი 1:2 ოდიში

მარგვეთი: მერკვილაშვილი (გ. ბოჭორიშვილი 72), მაღლაკელიძე, ჟვანია, ლანჩავა, შავგულიძე, თურმანიძე, სულაკაძე, ქეთელაური (თ. გაბრიჭიძე 60), ფინცხავა, გუბელაძე, ქებაძე

ოდიში: ნაყოფია, კვიტატიანი, აფაქიძე, ჰედია, მიქაძე, ბარქაია, ახვლედიანი, ჯიქია, წიტაიშვილი, ბუკია, კალანდაძე

1:0 სულაკაძე (35), 1:1 ახვლედიანი (74), ბარქაია (77)

მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

### ბომბარდირები

| | | | თ | პ | გ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი დემეტრაძე | „დინამო“ | 8 | (3) | 12 |
| 2 | დავით უჯმაჯურიძე | „ბათუმი“ | 10 | (2) | 11 |
| 3 | ლევან ქებაძე | „მარგვეთი“ | 11 | (-) | 9 |

### XII ტურის სტატისტიკა

| | სულ | | მასპინძლები | | სტუმრები | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ტური | 96-97 | ტური | 96-97 | ტური | 96-97 |
| თამაში | 8 | 93 | 8 | 93 | 8 | 93 |
| მოგება | 7 | 84 | 5 | 67 | 2 | 17 |
| ფრე | 1 | 9 | 1 | 9 | 1 | 9 |
| წაგება | 7 | 84 | 2 | 17 | 5 | 67 |
| გოლი | 20 | 297 | 11 | 220 | 9 | 77 |
| საშუალო შედეგიანობა | 2,5 | 3,2 | 1,4 | 2,4 | 1,1 | 0,8 |
| პენალტი | 2 | 27 | 2 | 20 | 0 | 7 |
| გამოყენებულია | 2 | 25 | 2 | 18 | 0 | 7 |
| რეალიზაცია | 1,0 | 0,9 | 1,0 | 0,9 | 1,0 | 1,0 |
| დიდი ანგარიშით მოგება | 1 | 2 | 0 | 29 | 1 | 3 |
| აგებდნენ და მოიგეს | 1 | 11 | 0 | 7 | 1 | 4 |
| ჰეთ-ტრიკი | 0 | 7 | 0 | 5 | 0 | 2 |
| დუბლი | 1 | 35 | 1 | 30 | 0 | 5 |
| გაფრთხილება | 11 | 145 | 4 | 69 | 7 | 76 |
| გაძევება | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |

- პირველ, მესამე და მეხუთე სვეტებში მოცემულია ბოლო ტურის ტექნიკური შედეგები
- მეორე, მეოთხე და მეექვსე სვეტებში მოცემულია მიმდინარე ჩემპიონატის ჯამური მაჩვენებლები

# პორტუში 3:3-ის ჯერია

### დინამო 3:0 თურქმენეთი

**დინამო:** ზოიძე, ჩხაიძე, ლობჟანიძე, ზ. ჯელაძე, კუდინოვი (ინალიშვილი 46), გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ჯამარაული (დიდავა 85), კერძევაძე (დემეტრაძე 46), კობიაშვილი, იაშვილი (ხომერიკი 82)

**თურქმენეთი:** კორობკო, იგნატოვი, მურედოვი, შუმილოვი, ტეპლიკოვი, ალექსეევი (კრონხმალი 78), მიგდიევი, ბორდოლიმოვი (ანდრეევი 13), ანადურდიევი, გოგოლაძე, გოლიკოვი (ყურბანმამედოვი 84)

**1:0 ჯამარაული (33), 2:0 დემეტრაძე (63), 3:0 იაშვილი (78)**

**გაფრთხილება:** მიგდიევი

**მსაჯი:** ს. კვირაცხელია (ზუგდიდი)

გენერალური რეპეტიცია თურქმენებთან გვექნება — თქვა ამ მატჩის წინა დღეებში დავით ყიფიანმა და მაყურებელთა სიმრავლის ერთ-ერთი მიზეზიც ეს იყო. „დინამომ“ გენერალური რეპეტიცია ასე დაიწყო: ლიბერო კუდინოვი, მარჯვენივ კერძევაძე იყო და მთელი ფრთის კონტროლი ევალა, კაცზე — ზვიად ჯელაძე და ლობჟანიძე, რომელიც ამავდროულად მარცხენა ფრთის დაცვის ზონასაც აკონტროლებდა მარცხენაფლანგელ ჩხაიძის წინ წასვლის შემთხვევაში. საყრდენად კვლავ გამოჯანმრთელებული გიორგი კიკნაძე ვიხილეთ, მას შუახაზში კობიაშვილი შეეხიდა, რომელიც მარცხენა ფლანგსაც აკონტროლებდა და მისთვის ჩვეულ სტილშიც უტევდა. ჯამარაული, ჩვეულებრივ, წინწაწეული ნახევარმცველის, გნებავთ, უკანდახეული თავდამსხმელის ფუნქციებს ასრულებდა, წმინდა ფორვარდი იაშვილი იყო, თუმცა ამ მატჩში გოგიჩაიშვილსაც ფორვარდი ეთქმოდა, რაკილა მეტოქის ნახევრიდან არ გამოსულა და ყველას თავბედი აწყევლინა.

აი, ამ ტაქტიკური სქემით წარვდგებით, ალბათ, პორტუგალიაში, თუმცა როგორც „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა აღნიშნა, მცირედი გადაადგილებანიც მოსალოდნელია.

თუ ანგარიშის მიხედვით ვიმსჯელებთ, რეპეტიცია შემდგარა და ესაა, მაგრამ თამაშის ხარისხი პირველ ტაიმში აშკარად არადამაკმაყოფილებელი იყო. დინამოელთა შეტევები კვლავაც გოგიჩაიშვილის, ჯამარაულის და კობიაშვილის ოსტატობისა და აქტიურობის დამსახურება გახლდათ. თურქმენთა ნაკრებმა, ზაფხულის მერე აშკარად გაძლიერებულმა, თავგანწირვით იბრძოლა. ჩვენთვის ყველაზე საგანგაშო იყო „უკალაძეო“ — უმაჭავარიანო დაცვის რამდენიმე უხეში შეცდომა, რასაც თურქმენთა ფორვარდების ზოიძესთან პირისპირ გასვლა მოჰყვა. ზოიძე, რა თქმა უნდა, ჩინებული მეკარე და გუშინწინ არც პოზიციურად შემცდარა, დაცვის ყველა შეცდომაც გამოასწორა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ლატაპი და ნუნუ გომეშიც გილიკოვზე, მაგდიევზე და ბორდოლიმოვზე გაცილებით ძლიერნი არიან და ამგვარ ლაფსუსებს უმალ გოლად გვიქცევენ. დაცვის ამ შეცდომებმა ყველაზე უფრო ალბათ ყიფიანი დაამწუხრა და მეორე ტაიმში შეცვლებს და ტაქტიკურ გადაადგილებებს არ დაუყოვნებია, თუმცა ამაზე ქვემოთ. ერთი სიტყვით, პირველ ტაიმში ჩვენი დაცვის შეუთანხმებელ მოქმედებას „ბოავიშტაზე“ „გაანგარიშებით“ აშკარად საგანგაშო ეთქმოდა.

„ბოავიშტასთან“ თბილისურმა მატჩმა გვიჩვენა, თუ როგორ შეიძლება პორტუგალიელთა თავდასხმის განეიტრალება. გომეში ვერ იხდენს პერსონალურ მეურვეობას და თუ კარგა ხანი არაფერი გამოუვიდა, წონასწორობას კარგავს და გუნდს ველარ ადგება. უფრო ძნელია ლატაპის დაკეტვა, მით უმეტეს, ჩვენი შესუსტებულ-შეცვლილი დაცვისთვის. ლატაპის განეიტრალება გომეშის და საერთოდ შეტევის მონაწილე პორტუგალიელ ფეხბურთელთა „მშიერ ულუფაზე“ დასმას ნიშნავს. ჯელაძეს და ლობჟანიძეს არაერთხელ დაუკეტიათ ასე თავდამსხმელები, მაგრამ ლატაპი უკანაც იწევს და იქიდან უტევს ხოლმე, აქ ჩვენს დაცვას შუახაზი უნდა შეეშველოს, თანაც ძალზე აქტიურად. ჩემი ვარაუდით, ყველაზე დიდი დატვირთვა პორტუგალიაში სწორედ ჩვენს შუახაზზე მოვა. ამათ შეტევაზეც უნდა იფიქრონ და დაცვასაც შეეშველონ.

ახლა კი ისევ მატჩს დავუბრუნდეთ. მოკლედ, რამდენადაც აქტიურად ვუტევდით (გოგიჩაიშვილი, ჯამარაული, იაშვილი, კობიაშვილი), იმდენად ბევრ შეცდომას ვუშვებდით დაცვაში. თვალშისაცემი იყო, რომ გოგიჩაიშვილის ყველა გარღვევა საჯარიმოში სახიფათო ჩაწოდებით თუ ჩაგდებით მთავრდებოდა, მაგრამ დამაგვირგვინებელ სტადიაში „დინამო“ ძალზე მოიკოჭლებდა კარში დარტყმები ან მეკარეს მისდიოდა, ანაც ოდნავ სცდებოდა კარს. ღმერთმა ნუ ქნას და, თუ ასეთი მომენტები პორტუგალიაშიც ვერ გამოვიყენეთ, „დინამო“ იქიდან უმწვრთნელოდ დაბრუნდება.

პირველ ტაიმში გოლი მაინც გავიტანეთ, ჯამარაულის წაქცევა საჯარიმოს წინ ჯამარაულმავე გარდასახა გოლად: მისმა ყუმბარისებურმა დაბალმა დარტყმამ კედელი გაანგრია და ლამის ბადეც გახია. მეორე ტაიმში ყიფიანმა კუდინოვი და კერძევაძე შეცვალა და მათ ნაცვლად ინალიშვილი და დემეტრაძე გამოიყვანა. ინალიშვილი კიკნაძეს შეეხიდა და ამრიგად ორმაგსაყრდენიანი ნახევარდაცვა მივიღეთ, როგორც „ბოავიშტა“ თამაშობს ხოლმე. ლობჟანიძეს ლიბერობა დაევალა, გოგიჩაიშვილ — დემეტრაძის დუეტმა ისედაც აქტიური მარჯვენა ფრთა კიდევ უფრო სახიფათო გახადა, კობიაშვილს შეტევაში მეტი თავისუფლება მიეცა და, რაც ყველაზე თვალშისაცემი და გასახარი იყო, დინამოელი მცველები ცდილობდნენ, მეტოქე საჯარიმომდე „მოეხრჩოთ“.

მეორე ტაიმში მეტოქეც დაიღალა და ჩვენებიც უფრო ორგანიზებულად უტევდნენ. 63-ე წუთზე ულამაზესი კომბინაცია დაბოლოვდა გოლით: იაშვილმა მარჯვენა ფრთიდან ჩამოაწოდა, კიკნაძე ერთი შეხედვით დაკარგულ ბურთს მისწვდა და თავით საჯარიმოში ჩააგდო, იქ კი დემეტრაძემ შეუჩერებლივ დაარტყა — 2:0. ეს გოლი, ჩემი აზრით, იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ დემეტრაძეს არ დაუწყია ბურთის ჩამოღება, დამუშავება, მეტოქის მოტყუება (როგორც „ტორპედოსთან“ იყო) და ასე შემდეგ. მან შეუჩერებლივ გაისროლა, რაც მეტად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რადგან ჩემს გონებაში იმ დღეს „დინამო“ თურქმენებს კი არა, „ბოავიშტას“ ეთამაშებოდა და სწორედ ასეთი მოულოდნელი, სწრაფი და, რაც მთავარია, სწორი გადაწყვეტილება მიგვიყვანს პორტუში წარმატებამდე.

ამ მონაკვეთიდან „დინამომ“ააწყო თამაში, რაკილა ტაქტიკურადაც უგებდა მეტოქეს და უკვე ფიზიკურადაც. როგორც ამნაირი ანგარიშისას ხდება ხოლმე, თამაში გაიხსნა და კარგი საყურებელიც გახდა. გახსნილ თამაშში კი „დინამომ“ „ტორპედოს“ მოუგო, თურქმენებზე შეკრულ გუნდს მოკლედ, საფრთხე საფრთხეზე ექმნებოდათ შუაზიელებს, თუმცა მათ ერთხელ ზოიძესაც აკისრებინეს აკრობატული ნახტომი.

დინამოელთა მესამე გოლიც იმსახურებს აღწერას: ინალიშვილმა ისე კოხტად ჩაუგდო საჯარიმოს წინ კიკნაძეს, თურქმენთა ხელოვნური თამაშგარესთვის გამზადებული გუნდი მშრალზე დასვა და თანაგუნდელი მეკარესთან პირისპირ დატოვა. მაგრამ კორობკოსთან პირისპირ დარჩენილი კიკნაძე დაიბნა და ის-ის იყო, შეტევაც ცუდდებოდა, რომ იაშვილს ფორვარდის ალღომ არ უღალატა, ბურთთან გაჩნდა და გაიტანა კიდეც.

მატჩს საბოავიშტო თვალით ვუყურებდიმეთქი. გამახარა დინამოელთა მშვენიერმა ფიზიკურმა მომზადებამ, ლობჟანიძემ, დიდავამ, ინალიშვილმა, დემეტრაძემ ხომ წინა დღეს „გურიასთანაც“ ითამაშეს. „ბოავიშტასთან“ კი პირველ რიგში ფიზიკაში არ უნდა ჩავიჭრათ.

მოკლედ, შედგა თუ არა რეპეტიცია, ყიფიანმა უკეთ იცის, ისე, თუ დამთხვევაზე და ბედისწერაზე მიდგა საქმე, წესით პორტუგალიაში ფრედ უნდა ვითამაშოთ, უეფას თასზე „დინამომ“ ყველა პირველი მატჩის მოგების შემდეგ მომდევნო ფრედ დაამთავრა, 2:2, 0:0, 1:1. ასე რომ, ახლა 3:3-ის ჯერია, მე ყაბულსა ვარ...

**მამუკა ქვარაცხელია**



ისევ ჯამარი, ისევ ჯარიმა, ისევ გოლი!

# გოგოლაძე თურქმენბაშის ქვეყანაში

„მერანი“, „გურია“, ერთი ხანობა „დინამო“, შემდეგ „შევარდენი“ — აი, ის გუნდები, რომლებშიც კახა ჭუმბურიძე თამაშობდა. „შევარდენს“ წინა ჩემპიონატის მეორე წრეში საქმეები აერია და კახასაც გუნდში გული აღარ დაუდგა. ამ დროს აშხაბადის „კოპეტდაღის“ ვარიანტიც გამოუჩნდა და ახლახან კახა სულაც თურქმენთა ნაკრებში ვიხილეთ.



— ყველაფერი მოულოდნელად მოხდა — იხსენებს კახა — კახა ჭუმბურიძე, „მორკინალისა“ და „გურიას“ ყოფილი მოთამაშე დამიკავშირდა და მითხრა, თურქმენეთში წასვლის ვარიანტი მაქვს და ხომ არ წამოხვიდოდიო. იმ დროს სხვა გეგმები კი მქონდა, მაგრამ ამ საქმეს თურქმენეთში საქართველოს ელჩი ჰენრი პატარაია აკეთებდა და მეც დავთანხმდი წასვლაზე. ასე აღმოვჩნდი აშხაბადის „კოპეტდაღში“.

**— თურქმენეთის სიმდიდრეზე რაღას აღარ ჰყვებიან, შენი წასვლის ერთ-ერთი მოტივი კარგი ანაზღაურებაც იქნებოდა...**

— პირობები ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ შემისრულდა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ მხოლოდ ფულის გამო წაველი. ოჯახის პატრონი ვარ და, რა თქმა უნდა, მეც მინდა ოჯახი ნორმალურად ვაცხოვრო. თურქმენეთში წასვლა ამანაც გადამაწყვეტინა, მაგრამ ფეხბურთი არ მაინტერესებდაო, ვერ ვიტყვი.

**— თურქმენებს მაღალი დონის ფეხბურთი არასოდეს უთამაშიათ. ახლა რა დღეშია მათი ფეხბურთი?**

— ჩვენთან ახლოსაც ვერ მოვა, შედარებაც არ შეიძლება. თავადაც ხომ ნახეთ, ბევრი არაფერი გუნდია. ჩვენს ჩემპიონატში ცხრილის ბოლოში მოექცეოდა. ეგაა, ახლა ფეხბურთს დიდ ყურადღებას აქცევენ.

**— ქვეყანას როგორ შეეჩვიე?**

— ხასიათული სიცხეები იცის, მაგრამ ამასაც შევეჩვიეთ. საკვებიც ჩვენთვის უჩვეულოა. სხვათა შორის, ძალიან დაბალი ფასებია ყველაფერზე. თურქმენები გულთბილი ხალხია, ყოველ შემთხვევაში, ვისთანაც ურთიერთობა გვქონია, კარგის მეტი მათგან არაფერი მახსოვს. რა თქმა უნდა, მათი და ჩვენი ცხოვრების ყაიდა ბევრით განსხვავდება — ტრადიციული აზიური მენტალიტეტის ხალხია. ჩვენ უფრო ამაყები ვართ. თუმცა, იმასაც ვერ ვიტყვი, რომ იქაური ქალები ჩადრებით დადიან. ვერც იმას ვიტყვი, რახან გაზი აქვთ უამრავი, ხალხიც უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე ჩვენთან. ყველა იმ იმედით ცოცხლობს, რომ მალე უკეთ იცხოვრებენ. ქართველები უფრო ალღოიანები და მარიფათიანები ვართ, კარგი ცხოვრების ყადრი ვიცით. იქ ამას ყურადღებას არ აქცევენ, სხვა ტრადიციებზე იზრდებიან.

**— გუგუშვილის საქმიანობაზე რას გვეტყვი?**

— სხვათა შორის, გუგუშვილის ვარჯიშებმა მათ ფეხბურთზე წარმოდგენა შეუქმნა, მანამდე, მგონი, ხეირიანად ვერც ერკვეოდნენ ბევრ რამეში. ბევრი რამ უკვირდათ მოთამაშეებს, არ იცოდნენ. არც არის გასაკვირი, იქ ფეხბურთი ახლა ვითარდება.

**— თურქმენეთის მოქალაქეობა უკვე მიიღეთ?**

— არა, მოქალაქეობა არ მიმიღია. „დინამოსთან“ მხოლოდ ნაკრების ხელმძღვანელთა თხოვნით ვითამაშე. მაგრამ ეს არ ნიშნავს მოქალაქეობის მიღებას. ეს სერიოზული საქმეა და დაუფიქრებლად ამ ნაბიჯს არ გადავდგამ. შეიძლება — მათ ნაკრებში ვითამაშო, შეიძლება — არა.

**— მართალია, რომ შენს გარდა ამასვე სთავაზობენ ბუბა ტყავაძეს და გურამ ასპინძელაშვილს?**

— სრული სიმართლეა, მაგრამ ჩვენ ჯერ პასუხი არ გვითქვამს.

**— ისევ თურქმენეთს დავუბრუნდეთ. შუა აზიის ეს ქვეყანა იმითაც არის ცნობილი, რომ პრეზიდენტს ლამის არის აღმერთებენო...**

— ქალაქიც არის საფარმურატ თურქმენბაში, რაც საფარმურატ თურქმენთა ბელადს ნიშნავს. ყველგან მისი სურათებია გამოფენილი, ბევრ ადგილს და დაწესებულებას, უმთავრესად, ინსტიტუტებს, მისი სახელი ჰქვია. მოკლედ, თურქმენთა ბელადია.

საქართველოში მთავრობაზე ცუდსაც წერენ და კარგსაც, იქ კი მხოლოდ კარგი იწერება, ცუდი არ შეიძლება.

**— ჩვენი ბიჭები როგორ თამაშობენ?**

— მე, ტყავაძე და ასპინძელაშვილი „კოპეტდაღის“ ძირითადში ვართ, ბუბას ბევრი გოლებიც გააქვს. ჭუმბურიძე კი ჯერ არ თამაშობს შემადგენლობაში. თავის ქებაში არ ჩამომართვა იმის თქმა, რომ იქ ყველას ვჯობივართ, რადგან თურქმენეთში ფეხბურთს ახლა სწავლობენ.

**მერაბ მამულაშვილი**

# შირერი თბილისში ვერ ითამაშებს!

ხუთშაბათს მსოფლიო ფეხბურთის უძვირესმა მოთამაშემ, ინგლისის ნაკრების კაპიტანმა და მთავარმა ბომბარდირმა ალან შირერმა საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და მინიმუმ ექვსი კვირით ჩამოშორდა მოედანს. ეს იმას ნიშნავს, რომ ორი კვირის შემდეგ, 9 ნოემბერს, თბილისში, საქართველოსა და ინგლისის შეხვედრაში, მეტოქეს ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი არ ეყოლება.

— ასეთივე ოპერაცია მაისში, მარცხენა საზარდულზე გავიკეთე და ოთხ კვირაში ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშე — უთხრა შირერმა ჟურნალისტებს — სამი თუ ოთხი კვირის წინ კი მსგავსი ტკივილი ვიგრძენი, ექიმთან მივედი და გავარკვიე რომ იგივე პრობლემა მარჯვენა საზარდულზეც მქონია. ვიმედოვნებდი რომ სეზონს მაინც უოპერაციოდ მოვილევდი, მაგრამ ტკივილმა თავი არ დამანება. ბოლო ტურში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ თამაშის შემდეგ კი ძალიან ცუდად ვიყავი. ახლა საქართველოსთან მატჩისა და პრემიერლიგის ოთხი შეხვედრის გამოტოვება მომიწევს.

შირერის არყოფნა მის ნიუკასლელ თანაგუნდელს, ზანგ ლეს ფერდინანდს ერთიორად უზრდის თბილისში თამაშის შანსს.



რაც შეეხება ინგლისურ კაპიტნის სამკლაურს, იგი შესაძლოა ისევ არსენალელ ტონი ადამსს დაუბრუნდეს. ადამსი ევროპის პირველობაზე კაპიტნობდა თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს, შემდეგ კი ნაკრებს ჩამოშორდა. ბოლო დროს თავად აღიარა, რომ ლოთობას მიჰყო ხელი, მაგრამ ეტყობა შირერის ადგილს განაცხადში სწორედ ის შეავსებს. თუ ადამსი არა, მაშინ ჰოდლის სიაში ყველაზე სავარაუდო სტიუარტ პირსის გამოჩენა იქნება.

## ინგლისი

ლიგის თასის მესამე ეტაპი. ჩარლტონი — ლივერპული 1:1, ლიდსი — ასტონ ვილა 1:2, მანჩესტერ იუნაიტედი — სვინდონი 2:1, მიდლსბრო — ჰადერსფილდი 5:1, ნიუკასლი — ოლდემი 1:0, საუთჰემპტონი — ლინკოლნი 2:2, სტოკ სიტი — არსენალი 1:1, ტოტენჰემი — სანდერლენდი 2:1, ვესტ ჰემი — ნოტინგემ ფორესტი 4:1

## გერმანია

თასის მერვედფინალი. შტუტგარტი — ცვიკაუ 2:0, კარლსრუე — გრიუტერფიურტი 3:1, ენერგიე კოტბუსი — დუისბურგი 1:1 (5:4 პენალტებით), კარლსრუე (სამოყვარულო) — ბოხუმი 0:1, მიუნხენი — ჰამბურგი 1:2, ზანქტ პაული — უნტერჰახინგი 1:0, ფრაიბურგი — მეპენი 2:1

## შოტლანდია

ლიგის თასის ნახევარფინალი. დანფერმლაინი — რეინჯერსი 1:6, ჰართსი — დანდი 3:1

## ავსტრია

მე-14 ტური. აუსტრია — რაპიდი 0:2, ზალცბურგი — ლინცი 0:2, ტიროლი — ადმირა ვაკერი 1:1, ლინცერი — გრაცი 2:1, შტურმი — რიედი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 14 | 8 | 4 | 2 | 18:7 | 28 |
| რაპიდი | 14 | 7 | 6 | 1 | 27:13 | 27 |
| ტიროლი | 14 | 7 | 4 | 3 | 24:15 | 25 |
| ლინცერი | 14 | 5 | 5 | 4 | 17:17 | 20 |
| შტურმი | 14 | 5 | 4 | 5 | 19:13 | 19 |
| აუსტრია | 14 | 5 | 3 | 6 | 17:24 | 18 |
| გრაცი | 14 | 4 | 5 | 5 | 15:18 | 17 |
| რიედი | 14 | 4 | 2 | 8 | 17:25 | 14 |
| ლინცი | 14 | 2 | 5 | 7 | 7:16 | 11 |
| ადმირა | 14 | 1 | 6 | 7 | 12:25 | 9 |

## შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

VI ჯგუფი

# გამოცდა ჯერ წინ არის

### სლოვაკეთი 3:0 ფარერები

სლოვაკეთი: ვენსელი, ზემანი, კარჰანი (კოზაკი 84), ტომასჩეკი, კინდერი, ტიტელი, ბალისი (კოზლეი 68), სიმონი, იანკულა, დუბოვსკი, ტიმკო (იუიაკი 68)

ფარერები: კნუდსენი, ო. იოჰანსენი, იარნსკორი, ა. ჰანსენი, ო. ჰანსენი, მორკორე, ი. იოჰანსენი, დამი (ენიგარდი 63), მუელერი, იონსენი (არგე 46), პეტერსენი (ელიასენი 35)

გოლი: დუბოვსკი (20), იანკულა (44), სიმონი (57 პ)

ამ გამარჯვებით სლოვაკებმა ცხრა ქულა დააგროვეს და ცხრილში იუგოსლავიელებს გაუსწორდნენ. სამი შეხვედრიდან სამი გამარჯვება უდაოდ რიგიანი შედეგია, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეტოქეები მეტად სუსტი ჰყავდათ. შეგახსენებთ, პირველად სლოვაკებმა იმავე ფარერებს მოუგეს 2:1, შემდეგ კი მალტა დაჩაგრეს — 6:0. ნამდვილი შემოწმება მათ 13 ნოემბერს ესპანეთში ელით, მანამდე კი 10-ში მათი ტოლი იუგოსლავია ჩეხებს მასპინძლობს.

ოთხშაბათის შეხვედრაში, რომელსაც ბრატისლავას სტადიონზე 5500 მაყურებელი დაესწრო, ანგარიში მე-20 წუთზე პეტერ დუბოვსკიმ გახსნა. მან იანკულასგან უკუპასი მიიღო და საჯარიმოში მდგომმა მიზანს არ ააცილა. პირველი ტაიმის დამთავრებამდე წუთით ადრე პირველი გოლის ასისტენტმა იანკულამ სიმონის პასით გაიორა, მეორე ტაიმის მე-12 წუთზე კი თავად სცა სიმონს საპასუხო პატივი, პენალტი მოუნადირა. სიმონის გოლის მეტი იმ მატჩში აღარ გასულა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 0 | 17:2 | 9 |
| სლოვაკეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 9 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:0 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| ფარერები | 5 | 0 | 0 | 5 | 5:22 | 0 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:18 | 0 |

## ესპანეთი

მე-9 ტური. სოსიედადი — სელტა 1:2 (დე პედრო 26; გარსია 66 საკ. კარში, მოსტოვოი 71), რასინგი — დეპორტივო 1:1 (კორეა 78; მადარი 51), ოვიედო — ბეტისი 1:1 (მანელი 13; კოვალჩიკი 28), ესპანიოლი — ერკულესი 2:1 (პარლია 51, გარსია 64; ალფარო 79 პ), სევილია — ბარსელონა 0:1 (ფიგუ 78), ატლეტიკო — რაიო ვალეკანო 1:3 (ხუან კარლოსი 89; გილერმე 17, ანდრიაშევიჩი 46, კოტა 71), ლოგრონიესი — ვალიადოლიდი 0:1 (პეტერნაცი 14), კომპოსტელა 1:1 ბილბაო (პენევი 48; გერერო 71), ვალენსია — სპორტინგი 2:1 (მოია 24, კარპინი 66; ბანგო 37), ტენერიფე — ესტრემადურა 2:1 (რობაინა 7, ვიდმარი 79; ლოპესი 41), სარაგოსა — რეალი 1:2 (პოიეტი 37; შუკერი 10 პ, 15)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 9 | 7 | 2 | 0 | 30:11 | 23 |
| რეალი | 9 | 6 | 3 | 0 | 21:8 | 21 |
| დეპორტივო | 9 | 5 | 4 | 0 | 15:5 | 19 |
| ბეტისი | 9 | 5 | 3 | 1 | 17:6 | 18 |
| ვალიადოლიდი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:6 | 17 |
| ვალენსია | 9 | 5 | 1 | 3 | 15:9 | 16 |
| სოსიედადი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:13 | 14 |
| ტენერიფე | 9 | 4 | 1 | 4 | 18:11 | 13 |
| რაიო | 9 | 4 | 1 | 4 | 15:12 | 13 |
| რასინგი | 9 | 3 | 4 | 2 | 12:13 | 13 |
| სელტა | 9 | 3 | 3 | 3 | 9:11 | 12 |
| ბილბაო | 9 | 3 | 3 | 3 | 12:15 | 12 |
| სპორტინგი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:14 | 12 |
| ესპანიოლი | 9 | 3 | 2 | 4 | 13:13 | 11 |
| ატლეტიკო | 9 | 3 | 2 | 4 | 13:13 | 11 |
| ოვიედო | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 |
| ლოგრონიესი | 9 | 3 | 1 | 5 | 7:18 | 10 |
| კომპოსტელა | 9 | 2 | 2 | 5 | 9:22 | 8 |
| სარაგოსა | 9 | 1 | 4 | 4 | 12:17 | 7 |
| სევილია | 9 | 1 | 2 | 6 | 4:10 | 5 |
| ერკულესი | 9 | 1 | 1 | 7 | 5:19 | 4 |
| ესტრემადურა | 9 | 1 | 0 | 8 | 6:23 | 3 |

ბომბარდირები: როლანდო (ბარსელონა) — 9, შუკერი (რეალი) — 8, გილერმე (რაიო ვალეკანო) — 6, ალფონსო (ბეტისი), რივალდო (დეპორტივო), ალვარესი (ოვიედო), მიატოვიჩი (რეალი), პეტერნაცი (ვალიადოლიდი), პოიეტი (სარაგოსა) — 5

## იტალია

თასის მერვედფინალი. ბოლონია — ფიორენტინა 3:1, ჩეზენა — კრემონეზე 1:2, ჯენოა — ვიჩენცა 1:1, ნოჩერინა — იუვენტუსი 0:0, პესკარა — ნაპოლი 0:1, რეჯანა — მილანი 0:2, ვერონა — ლაციო 1:2, კალიარი — ინტერი 2:2 საპასუხო შეხვედრები 6 ნოემბერს გაიმართება.

## პოლონეთი

მე-13 ტური. ვიძევი — გურნიკი 3:0, ზაგლებიე — ოდრა 0:1, რაკოვი — ლეხი 2:0, სტომილი — პოლონია 4:1, ამიცა — სოკოლი 0:0, ბელხატოვი — ჰუტნიკი 2:2, ლეგია — ვისლა 2:1, გკს — შლიონსკი 1:1, ლკს — რუხი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 13 | 9 | 2 | 2 | 27:12 | 29 |
| ვიძევი | 13 | 8 | 4 | 1 | 25:7 | 28 |
| გკს | 13 | 6 | 6 | 1 | 20:12 | 24 |
| ამიცა | 13 | 7 | 3 | 3 | 17:14 | 24 |
| ლეხი | 13 | 6 | 2 | 5 | 17:17 | 20 |
| ოდრა | 13 | 5 | 3 | 5 | 20:20 | 18 |
| ვისლა | 13 | 5 | 3 | 5 | 12:12 | 18 |
| ჰუტნიკი | 13 | 5 | 3 | 5 | 14:15 | 18 |
| რაკოვი | 13 | 5 | 3 | 5 | 12:14 | 18 |
| სოკოლი | 13 | 5 | 3 | 5 | 17:21 | 18 |
| სტომილი | 13 | 4 | 3 | 6 | 20:20 | 15 |
| ბელხატოვი | 13 | 4 | 3 | 6 | 17:18 | 15 |
| პოლონია | 13 | 4 | 3 | 6 | 14:21 | 15 |
| ზაგლებიე | 13 | 3 | 4 | 6 | 15:20 | 13 |
| შლიონსკი | 13 | 3 | 3 | 7 | 12:18 | 12 |
| ლკს | 13 | 2 | 6 | 7 | 14:18 | 12 |
| გურნიკი | 13 | 3 | 3 | 7 | 15:22 | 12 |
| რუხი | 13 | 2 | 5 | 6 | 10:17 | 11 |

## ჰოლანდია

მე-12 ტური. უტრეხტი — ტილბურგი 0:0, ბრედა — გრონინგენი 1:1, ფეიენოორდი — აზ 67 ალკმაარი 1:0, როდა — ვიტესი 1:1, სპარტა — ვოლენდამი 0:3, ნაიმეგენი — ფორტუნა 1:1, ჰერენვენი — ეინდჰოვენი 0:1, აიაქსი — ვალვაიკი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 12 | 8 | 3 | 1 | 34:10 | 27 |
| ფეიენოორდი | 12 | 8 | 2 | 2 | 23:16 | 26 |
| გრააფსხაპი | 11 | 6 | 3 | 2 | 22:13 | 21 |
| ტვენტე | 11 | 6 | 3 | 2 | 15:9 | 21 |
| აიაქსი | 12 | 5 | 5 | 2 | 13:8 | 20 |
| ვიტესი | 12 | 5 | 4 | 3 | 17:11 | 19 |
| როდა | 12 | 4 | 5 | 3 | 12:12 | 17 |
| ჰერენვენი | 12 | 3 | 6 | 3 | 19:15 | 15 |
| სპარტა | 12 | 4 | 3 | 5 | 12:13 | 15 |
| ბრედა | 12 | 4 | 3 | 5 | 11:18 | 15 |
| ვოლენდამი | 12 | 3 | 5 | 4 | 13:17 | 14 |
| ფორტუნა | 12 | 3 | 4 | 5 | 9:17 | 13 |
| ნაიმეგენი | 12 | 2 | 6 | 4 | 13:18 | 12 |
| უტრეხტი | 12 | 1 | 8 | 3 | 16:18 | 11 |
| აზ 67 ალკმაარი | 12 | 3 | 1 | 8 | 10:14 | 10 |
| ტილბურგი | 12 | 2 | 4 | 6 | 13:21 | 10 |
| გრონინგენი | 12 | 2 | 4 | 6 | 12:23 | 10 |
| ვალვაიკი | 12 | 2 | 3 | 7 | 11:22 | 9 |

## ფეხბურთის რუკასთან



ბრაზილიელი რომარიო ესპანეთის „ვალენსიამ“ 30 ივნისამდე მის ძველ გუნდს, „ფლამენგოს“ ათხოვა. ფეხბურთელი სამშობლოში გასულ კვირას დაბრუნდა. ეს ვიზიტი თავიდან სამდღიანად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ რომარიო დარჩა. მოსალოდნელია, რომ „ვალენსია“ და „ფლამენგო“ ვეტერანის ბედზე მომავალში უფრო დეტალურად ისაუბრებენ. ფაქტი ისაა, რომ ესპანური გუნდის მწვრთნელი ლუის არაგონესი რომარიოს ბოლო შეხვედრებში აღარ ათამაშებდა.

არგენტინელ რობერტო ტროტას იტალიაში საქმეები აერია. სამთვენახევრის წინ „რომაში“ „ველეჟ სარსფილდიდან“ გადასულმა სერია A-ში ვერაფრით მოიპოვა თვითრწმენა და იქამდე მივიდა, რომ გასულ კვირას „ვერონას“ წინააღმდეგ შეხვედრაში მაყურებელთა „წაითრიე“ დაიმსახურა. „რომას“ არგენტინელი მწვრთნელი კარლოს ბიანკი თანამემამულე ფეხბურთელს იცავს და ამბობს, რომ კარგად უწყის მისი ნიჭის ამბავი, თუმცა, მიუხედავად ამისა, კლუბის პრეზიდენტის ფრანკო სენსის თანხმობით 8 ნოემბრამდე შინ დაბრუნება ურჩია. ამგვარად, ტროტას სამი თვის უნახავი, შვიდი და ცხრა წლის შვილებთან შეხვედრის და დაფიქრების დრო მიეცა. იტალიურმა გაზეთმა „კორიერე დელო სპორტმა“ მოთამაშე შეიბრალა და გულშემატკივრებს მისი შორდაჰერისკენ მოუწოდა.

რუსეთში, „ალანიას“ ფეხბურთელს სერგეი ტიმოფეევს 10 თამაშით დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მან სექტემბერში „ლოკომოტივის“ ანდრეი სოლომატინის იდაყვით ყვრიმალი გაუტეხა. ტიმოფეევის თანაგუნდელი ომარ თეთრაძეც დასჯილია. იგი სეზონის ბოლომდე თანამსაჯზე ხელის აღმართვისთვის (ალანია — ცსკა-ს მატჩში) მოკვეთეს.

ნიგერიელთა ნაკრები ოლიმპიადის ოქრომდე ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ჯო ბონფრერმა მიიყვანა. ახლა იგი ყატარის ეროვნულ გუნდს უდგას სათავეში, მაგრამ ნიგერიის ფეხბურთის თავკაცები ამტკიცებენ, რომ ბონფრერს მათთან კიდევ ერთწლიანი ვალდებულება აკავშირებს. თავად მწვრთნელი ამას უარყოფს. მისი თქმით, ნიგერიელებთან კონტრაქტს ვადა აგვისტოში გაელია და ამის თაობაზე მან წერილობით აცნობა როგორც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის, ისე ფიფას. ომანიდან BBC-სთვის მიცემულ სატელეფონო ინტერვიუში ბონფრერმა არ ისურვა ნიგერიიდან წასვლის მიზეზებზე საუბარი, იქაურმა ხალხმა ყველაფერი იცისო. ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშემ ოსტინ მგბოლუმ კი განაცხადა, რომ ჰოლანდიელ სპეციალისტს ორშაბათს ელიან, რათა 9 ნოემბერს თურქეთთან ამხანაგური მატჩი წარმართოს. „ატლანტიდან ბონფრერი ჩვენთან ერთად აღარ დაბრუნდა და განაცხადა, გადავდექიო. სექტემბერში იგი მაინც ჩამოვიდა ნიგერიაში და მთავრობის წევრებს შეხვდა, რომელთაგან ორთვიანი შვებულება მიიღო“ — თქვა პრეს-ატაშემ. ცნობილია, რომ ბონფრერსა და ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის შორის ურთიერთობა მაშინ გაფუჭდა, როცა ქვეყნის სამხედრო ხელისუფლებამ თავის გუნდს „აფრიკის თასის“ ბოიკოტი უბრძანა.

გერმანული ჟურნალის „შპორტ ბილდის“ ცნობით, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კლაუს აუგენტალერი, „ბაიერნში“ ჯოვანი ტრაპატონის ასისტენტად რომ მუშაობს, კლუბს დასტოვებს. აუგენტალერს რომელიც 20 წელია „ბაიერნშია“, სეზონის ბოლოდან კონტრაქტს აღარ გაუგრძელებენ. კლუბის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა გადაწყვეტილება ასე ახსნა: „მე მას ვუთხარი, კლაუს, შენ მთელი ცხოვრება „ბაიერნის“ მეორე მწვრთნელი ვერ იქნები, რადგან დროა, რომელიმე გუნდში დამოუკიდებლად მუშაობა დაიწყო“. აუგენტალერმა მიუნხენის კლუბში ბოლო ხუთ მწვრთნელს გაუწია ასისტენტობა.

ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი ბრანკო „მიდლსბროდან“ გაუშვეს. მას კონტრაქტის თანახმად ამ ინგლისურ კლუბში კიდევ რვა თვე უნდა დაეყო. კლუბმა გადაწყვიტა, რომ ფეხბურთელს დარჩენილი დროის ფულს გადაუხდის და ეს თანხა ნახევარ მილიონ გირვანქად შეაფასა. „მოხარული ვარ, რომ „მიდლსბროს“ რთულ პერიოდში დავეხმარე. კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ ჩემს თანამემამულე ჟუნინიოს უცხო ქვეყანაში ვამხნევებდი“ — თქვა ბრანკომ.

იტალიური „ვერონა“ საკუთარი ქვეყნის საფეხბურთო ლიგამ 13 ათასი დოლარით დააჯარიმა. მიზეზი ის გახლავთ, რომ გასულ კვირას „რომასთან“ შეხვედრაში „ვერონას“ გულშემატკივრები მეტოქის უცხოელ მოთამაშეებს ეროვნულ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

პოლონეთში, ვარშავის „ლეგიის“ ხელმძღვანელებმა სტადიონზე 20 ვიდეოკამერა დაამონტაჟეს. ისინი ისეა დაცული, რომ ხულიგნები ვერ ჩაამტვრევენ. მიუხედავად ამისა, ხულიგნებმა თავისი არ მოიშალეს. ეტყობა, ულებენ თუ არა, მათ დიდად არ ანაღვლებთ. პოზნანის გუბერნატორმა კი თავისი ქალაქის სტადიონი სეზონის ბოლომდე საერთოდ დაკეტინა. „ლეგიასთან“ თამაშის დროს პოზნანელ გულშემატკივრებს „ლეხის“ 0:2 დამარცხება ისე არ მოეწონათ, რომ პოლიციამ სახანძრო შლანგით მოათვინიერა ისინი. პოლიცია და ხულიგნები ვროცლავშიც შეეჯახნენ ერთმანეთს, როდესაც „შლიონსკი“ ლოძის „ვიძევთან“ დამარცხდა.

ინგლისური კლუბების გამდიდრება არ მოსწონს მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტს ფრანც ბეკენბაუერს. „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ სატელევიზიო შემოსავლების გარდა ზოგი ინგლისური კლუბი საფონდო ბირჟებზეც მდიდრდება, და ფეხბურთელებს საერთაშორისო ბაზარზე აძვირებს. მისი თქმით, თუ ასე გაგრძელდა, ერთ მშვენიერ დღეს მთელი ბაზარი მოიშლება.

შვედეთის ნაკრების წევრი მარტინ დალინი, შესაძლოა, „რომადან“ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ დაუბრუნდეს. დალინმა ქომაგებს ბოდიში მოუხადა, მე კი მინდა „რომაში“ თამაში, მაგრამ მწვრთნელი სხვაგვარად ფიქრობსო. ფერადკანიანი შვედი „რომაში“ ზაფხულზე გადავიდა და იქ, წესით, სამი წელიწადი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ გასულ კვირას თავის ტრანსფერზე წარდგენა ითხოვა.

საფრანგეთში მე-4 ტურის პირველ შეხვედრაში „ბორდომ“ უმასპინძლა „მონპელიეს“ და 3:1 მოუგო. თავიდან მასპინძლებმა შეყარეს თავისი. მე-16 წუთზე სტეფან ზიძანიმ, 45-ზე კლაუდიო ბიაჯიომ, ხოლო 52-ზე ჟან-პიერ პაპენმა გამოიჩინეს თავი. სტუმრებმა ერთადერთი გოლით 65-ე წუთზე უპასუხეს. იგი ქვეყნის ნაკრების წევრმა ფრანკ სოზემ გაიტანა. თამაშს თვალს 12 ათასი გულშემატკივარი ადევნებდა.

ინგლისის პირველობის ლიდერმა „ნიუკასლ იუნაიტედმა“ ირლანდიის ნაკრების და „ლივერპულის“ ყოფილი მოთამაშე მარკ ლორენსონი დაცვის მწვრთნელად აიყვანა. ნიუკასლში თვლიან, რომ თავდასხმაში მათ პრობლემა არ აქვთ. დაცვაში კი მდომარეობა გამოსასწორებელია. ლორენსონი, რომელიც სულ ადრე „ოქსფორდს“ წვრთნიდა, ექვსი წლის წინ „პიტერბოროდან“ წასვლის შემდეგ რადიო 5-ში ექსპერტად მუშაობდა. მისი თქმით თავდაცვა ხელოვნებაა, რომლის დასაუფლებლად „ნიუკასლის“ ფეხბურთელებს დიდი გარჯა მოუწევთ. ისეთ მოთამაშეებს, როგორებიც არიან ფილიპ ალბერი და ჯონ ბერესფორდი, შეტევა უყვართ, მაგრამ ეს მაშინაა დასაშვები, როცა ისინი დარწმუნდებიან, რომ უკან კარი დაკეტილია. პრემიერლიგის სხვა გუნდი, „საუთჰემპტონი“ კი გერმანულ „კაიზერსლაუტერნში“ მოთამაშე ჩეხი პაველ კუკას ყიდვას ლამობს. „საუთჰემპტონი“ გარდა ამისა იმედოვნებს, რომ ინგლისის 21 წლამდე ნაკრების წევრს ნილ შიპერლის „კრისტალ პალასს“ ან „პორტსმუთს“ მიჰყიდის.

ალბანეთში პირველი ლეგიონერი გამოჩნდა. იგია ბრაზილიელი ედუ, რომელმაც ერთ შეხვედრაში უკვე მიიღო მონაწილეობა და ლამაზი თაურით გოლიც გაიტანა. ამ გოლით მისმა ახალმა გუნდმა „ლუშნიამ“ სტუმრად 1:1-ს მიაღწია. ედუ ალბანეთში ერთი თვის წინ 50 ათას დოლარად გადავიდა. კონტრაქტი ერთწლიანია.

ესპანეთის „ბარსელონამ“ წამოჭრა საკითხი ლეგიონერთა ნაკრებებში გაწვევის წესის შეცვლის შესახებ. ბოსმანური ცვლილებით ხეირნახმა „ბარსამ“ წლეულს თავის უცხოელთა რაოდენობა ცხრამდე გაზარდა და ახლა ისინი ეროვნულ გუნდებში გასაშვებად აღარ ემეტება. კლუბის 25 მოთამაშიდან სხვადასხვა ნაკრების წევრი მხოლოდ ხუთი არაა. თასების თასის გათამაშების მიმდინარე ეტაპის პირველ შეხვედრაში, „ცრვენა ზვეზდასთან“ მას ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო აკლდა, რომელიც სამშობლოში ჩავიდა ლიტველების წინააღმდეგ სათამაშოდ. ასეთი რამ შეიძლება მომავალშიც განმეორდეს, რაც სუპერკლუბს ხელს არ აძლევს.

იტალიურმა „ჩეზენამ“, რომელიც სერია B-ში გამოდის, ოთხშაბათს ქვეყნის თასზე „კრემონეზესთან“ წაგების შემდეგ მოხსნა მწვრთნელი მარკო ტარდელი. კლუბის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მის შემცვლელს უახლოეს დღეებში დაასახელებენ.

რუმინელი ნახევარმცველი იულიან ფილიპესკუ ბუქარესტის „სტიაუადან“ სტამბოლის „გალათასარაიში“ გადავიდა. ეს ტრანსფერი თავიდან რთულად დაიწყო, რადგან „სტიაუა“ აცხადებდა თურქულ კლუბს ფეხბურთელთან სეპარატული მოლაპარაკება ჰქონდა, ჩვენ კი საქმის კურსში გვიანღა ჩაგვაყენაო. თურმე მიზანდას უწევდა. მას მერე რაც სტამბოლელებმა 800-ათას დოლარს 150 ათასიც დაამატეს, ბუქარესტელები დაწყნარდნენ. ამრიგად ფილიპესკუ „გალათასარაიში“ თანამემამულეებს გეორგ ჰაჯისა და ადრიან ილიეს შეუერთდა.

გერმანიის დიდი კლუბი მიუნხენის „ბაიერნი“ აპირებს იურგენ კლინსმანს კარიერის ბოლომდე დაუდოს კონტრაქტი. კლინსმანის ახლანდელ კონტრაქტს 1998 წლის ივნისში გაუდის ვადა. 32 წლის ფეხბურთელი ასეთი შეთავაზებით თავადაც კმაყოფილი ჩანს.

ეკვადორმა მექსიკას 1:0 მოუგო. ამ ამხანაგურ შეხვედრაში ერთადერთი გოლი ჰექტორ კარაბალიმ გაიტანა მე-60 წუთზე.

ინგლისური „ქოვენთრი სიტის“ მწვრთნელი რონ ატკინსონი და მისი მოთამაშე-ასისტენტი გორდონ სტრაჩანი აგვისტოში ჩადენილი უსაქციელობისთვის დააჯარიმეს. „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“ შეხვედრაში შოტლანდიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი სტრაჩანი მოედნდან გააძევეს, მაგრამ ის არ გადიოდა. ატკინსონი კი მსაჯს შეეპასუხა. პირველს 2 ათასი, მეორეს კი 750 გირვანქა აქვს გადასახდელი.

ბულგარეთის ნაკრებმა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში კვიპროსთან შეხვედრამდე (15 დეკემბერს) ორი ამხანაგური მატჩი დანიშნა. ორივე სპარინგპარტნიორი აზიელია, საუდის არაბეთი და ტაილანდი. პირველი თამაში 6 ნოემბერს შედგება, მეორე 8-ში. ბულგარელთა მწვრთნელი ხრისტო ბონევი ამ შეხვედრებში ახალგაზრდა ფეხბურთელთა გამოცდას აპირებს. 31 ოქტომბერს კი იგი ბელგრადში (სადაც „ბარსელონა“ თასების თასზე „ცრვენა ზვეზდას“ ეთამაშება) ნახავს ხრისტო სტოიჩკოვს და გამოკითხავს თუ რატომ არიდებს ნაკრებში თამაშს თავს.

გერმანულმა „ჰამბურგმა“ მწვრთნელს ფელიქს მაგათს 1999 წლამდე დაუდო ახალი კონტრაქტი.

სამხრეთ ამერიკის სუპერთასზე: კრუზეირო (ბრაზილია) — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 1:1, ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია) — სანტოსი (ბრაზილია) 3:1, ოლიმპია (პარაგვაი) — ველეზ სარსფილდი (არგენტინა) 0:1

# ის აღარა ვართ?

## საქართველო — სლოვაკეთი

ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, სპორტის სასახლეში სლოვაკეთთან შეხვედრით საქართველოს ნაკრები ევროპის 1997 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე წრეს იწყებს. პირველი წრე საკმაო ხნის წინ დასრულდა (ბოლო თამაში 28 თებერვალს გაიმართა), ასე რომ, კალათბურთის გულშემატკივარს, შესაძლოა, აღარც ახსოვდეს, რა მდგომარეობაა ახლა ჩვენს ჯგუფში, მით უმეტეს, მისი ყურადღება ბოლო ხანს „ვითას" ევროპულ ტურნირებში გამოსვლისკენ იყო მიპყრობილი. საქართველოს ნაკრებს, ისევე, როგორც სლოვაკეთს, ერთი მოგება აქვს და ჯგუფის აუტსაიდერია. ამ გუნდების პირველი შეხვედრა სლოვაკეთმა 9 ქულით მოიგო 82:73, თუმცა, როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, ქართველებს ურიგოდ არ უთამაშიათ. რა შეიცვალა ამ ხნის მანძილზე? ვფიქრობთ, ჩვენს კალათბურთელებს მეტი საერთაშორისო გამოცდილება დაუგროვდათ და ახალბედებად აღარ გამოიყურებიან. ბევრი შესძინა „ვითას" კალათბურთელებს ევროტურნირების შეხვედრებმა და მათი თამაშის კლასი ამაღლდა. ასეთი გამოცდილება რომ ჰქონოდა, ნაკრები ისრაელთან საკუთარ მოედანზე უკვე მოგებულ მატჩს, ალბათ, არ წააგებდა. უთუოდ მოუმატებდა თამაშს ჩვენი ნაკრების ლიდერი ვლადიმერ სტეფანიაც, რომელიც სლოვენიის ჩემპიონის, ლიუბლიანას „ოლიმპიას" რიგებში ევროკალათბურთის ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს და ევროპის საუკეთესო კალათბურთელების პირისპირ უხდება თამაში.

რა თქმა უნდა, საქართველოს ჯგუფიდან გასვლის შანსი პრაქტიკულად აღარ დარჩა, მაგრამ იმ ხუთ მატჩში, რომელიც ნაკრებს დარჩა გასამართი (3 — თავის მოედანზე), ჩვენი აზრით, უფრო ღირსეულ გუნდად წარმოგვიდგება, ვიდრე დასაწყისში იყო.

A ჯგუფი.

ყველა თამაში. 8.10.95. სლოვაკეთი — საქართველო 82:73, ბოსნია — ბელარუსი 80:59, საბერძნეთი — ისრაელი 75:73; 11.10.95. საქართველო — ბოსნია 77:66, ისრაელი — სლოვაკეთი 86:69, საბერძნეთი — ბელარუსი 77:82; 12.11.95. საქართველო — ისრაელი 84:89, ბოსნია — საბერძნეთი 73:76, ბელარუსი — სლოვაკეთი 94:85; 28.02.96 საბერძნეთი — საქართველო 100:66, ბოსნია — სლოვაკეთი 84:77, ისრაელი — ბელარუსი 95:73

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 5 | 4 | 1 | 408:358 | 9 |
| ბოსნია | 5 | 3 | 2 | 376:353 | 8 |
| ისრაელი | 5 | 3 | 2 | 410:376 | 8 |
| ბელარუსი | 5 | 3 | 2 | 410:413 | 8 |
| სლოვაკეთი | 5 | 1 | 4 | 374:417 | 6 |
| საქართველო | 5 | 1 | 4 | 376:439 | 6 |

30.10 საქართველო — სლოვაკეთი, ბელარუსი — ბოსნია, საბერძნეთი — ისრაელი.

B ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 5 | 0 | 502:348 | 10 |
| ლატვია | 5 | 3 | 2 | 391:398 | 8 |
| გერმანია | 5 | 3 | 2 | 416:382 | 8 |
| ესტონეთი | 5 | 2 | 3 | 398:426 | 7 |
| ინგლისი | 5 | 1 | 4 | 356:446 | 6 |
| პორტუგალია | 5 | 0 | 5 | 353:416 | 5 |

30.10 პორტუგალია — ესტონეთი, ინგლისი — ლატვია, გერმანია — რუსეთი

C ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 5 | 0 | 435:329 | 10 |
| ფინეთი | 5 | 3 | 2 | 438:444 | 8 |
| სლოვენია | 5 | 2 | 3 | 360:341 | 7 |
| ჩეხეთი | 5 | 2 | 3 | 408:428 | 7 |
| უნგრეთი | 5 | 2 | 3 | 359:415 | 7 |
| მაკედონია | 5 | 1 | 4 | 381:424 | 6 |

30.10 უნგრეთი — ფინეთი, მაკედონია — ჩეხეთი, სლოვენია — იტალია

D ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 5 | 4 | 1 | 433:372 | 9 |
| თურქეთი | 5 | 4 | 1 | 390:334 | 9 |
| ხორვატია | 5 | 3 | 2 | 394:307 | 8 |
| ბულგარეთი | 5 | 3 | 2 | 399:414 | 8 |
| პოლანდია | 5 | 1 | 4 | 359:391 | 6 |
| რუმინეთი | 5 | 0 | 5 | 317:474 | 5 |

30.10 პოლანდია — ბულგარეთი, რუმინეთი — უკრაინა, თურქეთი — ხორვატია

E ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 5 | 0 | 406:317 | 10 |
| ლიტვა | 5 | 3 | 2 | 459:422 | 8 |
| ბელგია | 5 | 3 | 2 | 399:369 | 8 |
| შვედეთი | 5 | 2 | 3 | 326:351 | 7 |
| პოლონეთი | 5 | 1 | 4 | 389:398 | 6 |
| შვეიცარია | 5 | 1 | 4 | 312:434 | 6 |

30.10 პოლონეთი — შვედეთი, შვეიცარია — ბელგია, საფრანგეთი — ლიტვა





# ჰიმალაიზე დაჭერილი ორი გოლიათი კურდღელი

**ჰიმალაი. 1996 წელი. 29 აგვისტო — 12 ოქტომბერი. რუსთა ექსპედიცია 11 რუსი მთამსვლელისა და ერთიც ქართველის შემადგენლობით. მიზანი — ორი რვაათასიანის დალაშქვრა კლასიკური მარშრუტებით, ერთისა — ჩო-ოიუსი (8201 მ.) — ჩრდილოეთიდან, ჰიმალაურ სტილში, მეორისა — შიშა-პანგმასი (8013 მ.) — ალპურ სტილში.**

ნათქვამია, ორი კურდღლის მდევარი ვერცერთს ვერ დაიჭერსო, მაგრამ ამ ექსპედიციამ ორივე მოიხელთა, თუმცა, ეს მეტად ძნელი გამოდგა. ამიტომ ის „კურდღლები" ექსპედიციის ყველა წევრს არ შეხვდა.

რუსთა ამ ექსპედიციაში მონაწილეობას რომ აპირებდა, თბილისელმა გია თორთლაძემ ეს ჯერ კიდევ ამ ზამთარს გვითხრა. როცა ანდების უმაღლეს მწვერვალ აკონკაგუადან მათთან ერთად გამარჯვებული დაბრუნდა. თორთლაძე ჰიმალაის ამ ექსპედიციის დანარჩენ ათივე წევრს: მოსკოველ ვლადიმერ ბაშკიროვს, სანკტპეტერბურგელი ბორის მედნიკს პერმელ ბორის სედუსოვს, კრასნოიარსკელ ნიკოლაი ზახაროვს, ეკატერინბურგელ ევგენი ვინოგრადსკისა და ვალერი პერშინს, ოთხ სანკტპეტერბურგელ ალექსანდრს — სედოვს, პარკხინს, კლიმინსა და კოვალჩუკს კარგად იცნობდა. რამდენიმესთან სხვადასხვა მწვერვალზეც ასულა, მათთან ერთად ყველაზე მნიშვნელოვან ექსპედიციებში ყოფილა პერმელ ბორის სედუსოვთან, ვისთან ერთადაც დაულაშქრავს: ჰიმალაის რვაათასიანი დჰაულაგირი, ჩრდილოეთ ამერიკის უმაღლესი მწვერვალი მაკ კინლი და სამხრეთ ამერიკის უმაღლესი პიკი აკონკაგუა.

ექსპედიცია თავდაპირველად მთამსვლელთა მექაში, ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში ჩავიდა, იქიდან კი ტიბეტში გადავიდა. ჩო-ოიუს ძირისკენ, საბაზო ბანაკისკენ „ჯიპებითა" და ერთი სატვირთო მანქანით დაიძრნენ.

**— შეიძლებოდა პირდაპირ პეკინში ჩავფრენილიყავით, მაგრამ იქიდან საბაზომდე სამჯერ გრძელი გზის გავლა მოგვიწევდა, — გვიამბობს ექსპედიციის წევრი გია თორთლაძე. — ჩვენ კი ვჩქარობდით, რაკი გეგმაში ორ რვაათასიანზე ასვლა გვქონდა განზრახული. თანაც ექსპედიცია 15 ოქტომბრამდე უნდა დაგვესრულებინა, რადგან მერე იქ ამინდი ფუჭდება და ასვლები შეუძლებელი ხდება. ამიტომ ლაშქრობა ჩვეულებრივზე ადრე დავიწყეთ. მანქანებით საბაზო ბანაკში რომ ავედით, იმავე დღეს მძიმედ დატვირთულები, უმერპებოდ მოწინავე ბანაკის მოსაწყობად დავიძარით. ეს ბანაკი 5700 მეტრზე მოვაწყეთ. იქ არავინ დაგვხვდა. მეხუთე დღეს კორეელები გამოჩნდნენ, კიდევ ხუთი დღის მერე რუსეთ — საფრანგეთის საერთაშორისო ექსპედიციის წევრები... ბოლოს 15-მა ექსპედიციამ მოიყარა თავი.**

იქ ასულთ გულის გამაწვრილებელი ავდარი დახვდათ. 12 დღის მანძილზე დღის პირველ ნახევარში გამუდმებით თოვდა და მუხლის სიმაღლეზე ათეთრებდა არემარეს, მეორეში კი, მართალია, ღლვებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ ქარბუქი იწყებოდა.

ჩვეულებრივ, როცა ერთი გოლიათი მწვერვალის ძირში ერთი მიზნით შეპყრობილი რამდენიმე ექსპედიცია იყრის თავს, ისინი მარშრუტს ერთმანეთის მონაცვლეობით ამუშავებენ, წინასწარ თოკებსაც კიდებენ იქ, სადაც ეს საჭიროა და ყოველივე ამით საქმეს იიოლებენ.

ჩო-ოიუზე ასე არ მომხდარა — რაკი რუსთა ეს ექსპედიცია ყველაზე ადრე მიადგა მწვერვალს და ყველაზე მეტადაც ჩქარობდა, მარშრუტსაც უმალ ეკვეთა, სხვებს კი არსად აგვიანდებოდათ და მოწინავე საბაზო ბანაკში მშვიდად ელოდნენ გამოდარებას. თან ალბათ გუნებაში სიხარულით ხელებს იფშვნეტდნენ — დე, ამ გიჟებმა სულ წინ იარონ, ჩვენ კი მათ გაკვალულზე სიარული გაგვიადვილდებაო.

და რუსებმა, ერთ ქართველთან ერთად, სულ წინ იარეს.

2 სექტემბერს 6400 მეტრზე გამართეს პირველი ბანაკი, სადაც ორი კარავი დადგეს და ის ღამეც იქ გაათენეს. დილით კვლავ დაეშვნენ და ორი დღე დაისვენეს. მერე იყო ისევ პირველ ბანაკში ღამისთევა, 7 სექტემბრის დილას 7100 მეტრზე ასვლა, მეორე ბანაკის მოწყობა, იქაც ღამისთევა და მეორე დღეს კვლავ მოწინავე საბაზოში ჩასვლა, სამი დღით დასვენება, კვლავ პირველი ბანაკი, მეორე, 7500 მეტრზე ბოლო, საიერიშო ბანაკის მოწყობა, იქ ღამისთევა და გადამწყვეტი შტურმისის წინ საბაზოში ოთხდღიანი დასვენება.

**— ამ გზაზე მთავარი პრობლემა დიდთოვლობა იყო, — გვიამბობს თორთლაძე. — განსაკუთრებით დიდი თოვლი დაგვხვდა მეორე და მესამე ბანაკებს შორის. აქ წელსზემოთ თოვლში ვეფლობოდით. ჩვენს შორის ყველაზე ტანმორჩილი ბაშკიროვი იყო და ასეთ თოვლში გათხრილ „სანგარში" აღარც ჩანდა. 6800 მეტრზე კი დაგვხვდა რთული კლდეები, სადაც ორი თოკის დაკიდებამ და ჟუმარებით სიარულმა მოგვიწია. კიდევ ზემოთ, 7000 მეტრზე ნაპრალების პირზეც სახიფათო ადგილი იყო და იქაც თოკის დაკიდება დაგვჭირდა, მაგრამ ეს რა იყო იმასთან შედარებით, რაც მესამე ბანაკის სიახლოვეს გადაგვხდა. იქ ასვლისას, ლამის მკერდამდე თოვლში, ბოლო 200 მეტრის გავლას სამი თუ ოთხი საათი მოვანდომეთ. წინმავალი 5 მეტრის დაძლევის მერე ილაჯგაწყვეტილი გვერდზე წვებოდა, ახლა მის უკან მავალი დგებოდა მწკრივის თავში, ისიც 5 მეტრს ბურღავდა, მერე წყლიდან ამოგდებული თევზივით იწყებდა სუნთქვას, გვერდზე გულამოვარდნილი ვარდებოდა და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ყოველივე ამან დიდი ენერგია წაგვართვა და საბაზო ბანაკში, ოთხი დღე დავისვენეთ.**

ამასობაში დადგა 20 სექტემბერი, გადამწყვეტი იერიშის დაწყების დღეც.

მთამსვლელები ყოველდღიურად თითო ბანაკით ზემოთ ინაცვლებდნენ. 23-ში დილის ოთხ საათზე პირდაპირ მწვერვალისკენ გაემართნენ ბოლო, მესამე ბანაკიდან. კორეელებმა რომ გაიგეს, რუსების ექსპედიცია მთელი შემადგენლობით აპირებს მწვერვალის დალაშქვრასო, მესამე ბანაკიდან ოთხი კაცი აედევნათ, მათ შორის ერთი ქალი. უფიქრიათ, თერთმეტი რუსის გაკვალულ და დამუშავებულ მარშრუტზე არაფერი გაგვიჭირდებაო და ისინიც ისე გაჰყვნენ მათ ნაფეხურებს, როგორც ლიანდაგს. მალე მთამსვლელები მიადგნენ 15-მეტრიან კლდეს, სადაც ფარნების შუქზე, ხელის ფათურით ეძებდნენ ჩასაჭიდსა თუ ფეხმოსაკიდებელს. ცოტა ზემოთ ძნელად გასავლელი 200-მეტრიანი მონაკვეთი დახვდრიათ. მწვერვალის ფერდობებზე ყელამდე თოვლი რომ იდო, იმ მონაკვეთზე პირიქით, ძალზე თხელი ფენა დახვდათ. იმ თოვლზე ვერც ფეხს იკიდებდნენ, ვერც ხელს. ამიტომ სჯობდა იქაც დიდთოვლობა დახვედროდათ, ან სულაც არ ყოფილიყო.

იმ 200-მეტრიანი მონაკვეთიდან უზარმაზარ თოვლ-ყინულოვან ფერდობზე გასულან. მისი დახრილობა 35-40 გრადუსი იყო, ზემოდან კი თოვლის უზარმაზარი ბალიშები მოჩანდა. ზემოდან ზვავსაშიში ფერდობი გადმოსცქეროდათ მთამსვლელებს. მათ ქვემოთ კი უფსკრული იყო. რაც შეიძლება სწრაფად უნდა ევლოთ. მალე მათ თოკები შეიხსნეს და იქვე დატოვეს.

ისევ თორთლაძეს მოვუსმინოთ:

**— თოკებით სწრაფად რომ გვევლო, ერთდროულად ვმოძრაობდით და ერთმანეთს აღარ ვიცავდით. ამიტომ ჩაბმით სიარულმა აზრი დაკარგა. როგორც წესი და რიგია, ისე რომ გვევლო, ალბათ კიდევ სამი დღე დაგვჭირდებოდა მიზნის მისაღწევად. ამიტომ თოკები შევიხსენით და იქვე დავტოვეთ. ახლა მთავარი იყო ფეხი არ მოგვსხლტომოდა. ასეთ შემთხვევაში დაღუპვა გარდაუვალი იყო. აქედან უკვე ყველამ ჩვენ ჩვენი ტემპით გავაგრძელეთ გზა. მე, ბაშკიროვი, პარკხინი და სედუსოვი დავწინაურდით. სედუსოვი ცუდად შეიქნა და სიარული ძალზე უჭირდა, ნელა, მაგრამ მაინც შეუპოვრად მოგვყვებოდა. ამიტომ მარტოდ რომ არ დარჩენილიყო უკან სხვები მოჰყვებოდნენ.**

მთლად ხმადაკარგულ ბორის სედუსოვს სიარული იმიტომაც უჭირდა, რომ ფეხებზე ერთი თითიც აღარ ჰქონდა შერჩენილი. ეს თითები მან ჰიმალაის სხვა რვაათასიან გოლიათს, დჰაულაგირს შესწირა.

„სარბიელის" მკითხველს გეხსომებათ, მაშინ, 1993 წელს, რუსეთის მთამსვლელთა ექსპედიციის სხვა წევრებთან ერთად გია თორთლაძე, ქუთაისელი მერაბ ნემსიწვერიძე და ერთიც ინგლისელი დჰაულაგირზე მანამდე უვალი — ჩრდილოეთის მხრიდან ცენტრში აღმართულ კედელზე ავლით ალპურ სტილში ცდილობდნენ ასვლას. 7500 მეტრის სიმაღლეზე მერაბს მხარში ყინულის ნატეხი მოხვდა, დაშავდა და იერიშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ამიტომ გია თორთლაძე მასთან ერთად ქვემოთ დაეშვა, სხვები კი მთლიანი შემადგენლობით მწვერვალზე ავიდნენ, მათ შორის ბორის სედუსოვიც, რომელიც ყველაზე მსუბუქად იყო ჩაცმული. ამიტომ ხელ-ფეხი ძლიერად მოეყინა, იმდენად ძლიერად, რომ მოსკოვში ფეხების ყველა თითი მოკვეთეს, ხოლო ხელებზე ფრჩხილები დაჰკრა. როგორმე ხელის თითები რომ შეენარჩუნებინათ, ხორცი სულ აათალეს, რისი კვალიც დღესაც ატყვია. მაგრამ სედუსოვი სულაც არ და[illegible] მულა და იმ შავი დღეების მერე შვიდათასიან ბარუნზეც ავიდა. ამ ზამთარს, როგორც ვთქვით, თორთლაძესთან და სხვებთან ერთად [illegible] და ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე უჭირდა, ჩო-ოიუზეც ამოჰყო თავი.

**— მწვერვალზე პირველი ისინი ავედით, ვინც მესამე ბანაკიდან დავწინაურდით. ასვლისას, მთელ მარშრუტზე რომ ქარი ღმუოდა, ზედ მწვერვალზე არღარ უბერავდა. დავიწყეთ თუ არა დაშვება, ქარი ისევ გვეძგერა. ასეთი აქამდე არაფერი მინახავს. თუ ქარია, ყველაზე ძლიერად სწორედ მწვერვალზე უნდა უბერავდეს, აქ კი პირიქით იყო. ასე იყო თუ ისე, დაახლოებით 100 მეტრით რომ დავეშვით, დანარჩენებიც შემოგვხვდნენ. აქედან მე და ბაშკიროვი დავწინაურდით და დანარჩენების მოლოდინში თოვლში ჩავჯექით. მიზანს ყველამ მიაღწია. მწვერვალზე ავიდნენ კორეელებიც, რომლებმაც ბოლომდე ჩვენს ნაკვალევზე იარეს და წინ ერთხელაც არ გასულან. ერთ-ერთი მათგანი, ის ქალი ძალზე ცუდად იყო. ამდენი წელია მთაში დავდივარ, მაგრამ ასეთი ცუდად მყოფი მთამსვლელი იქ არ შემხვედრია. მიუხედავად ამისა, მწვერვალზე მაინც ავიდა. უკან რომ ბრუნდებოდა, ვხედავთ ქედს ლასლასით მარტოდმარტო მოუყვება, მერე ფერდობის დასაწყისში ჯდება, წერაყინს გაჭირვებით იმაგრებს და თოვლზე კანოეს ნიჩაბივით მოსმას ცდილობს. მის ბედად ძალა აღარ ჰქონდა, თორემ მართლა მოუსმევდა და უფსკრულში გადაეშვებოდა. ეს რომ დავინახეთ, უმალ მისკენ გავვარდით და ხელი ვტაცეთ. ილაჯგაწყვეტილს ჟანგბადის ნაკლებობისაგან გონება დაბინდოდა და თვალებგადმოკარკლულმა შემოგვიტია, გამიშვით, უნდა ჩავსრიალდეო, გვიამბო თორთლაძემ.**

მაგრამ კორეელთა ფათერაკები ამით არ გასრულებულა. თორთლაძე და ბაშკიროვი თანაგუნდელებს რომ ელოდნენ, ზემოთ კორეელთა მეთაურს ფეხი დაუსხლტა, გადმოვარდა, ბზრიალ-ბზრიალით თორთლაძესა და ბაშკიროვს ზარბაზნის ლულიდან გამოსროლილივით ჩაუქროლა.

**— იმ უბედურმა სამას მეტრამდე იფრინა. იხსენებს გია. — ასიდან ასივე შემთხვევაში უფსკრულში უნდა გადაჩეხილიყო და დაღუპულიყო, მაგრამ რაღაც სასწაული მოხდა — ზედ ფერდობზე, უფსკრულის პირზე მოულოდნელად გაჩერდა. უმალ მისკენ დავეშვით. რომ მივედით, საშინლად დაკვრანჩხული ვნახეთ — სად თავი ჰქონდა, სად ხელი და სად ფეხი, ვერ გაარჩევდით, მაგრამ ცოცხალი იყო. ეგ კი არა, არც არაფერი მოუტეხია. ეგ იყო, სხეულზე ადგილი არ დარჩა, რომ არ ტკენოდა. შემინებული ჩვენს ჩასვლამდე არც განძრეულა. რომ განძრეულიყო, უმალ გადავარდებოდა. ეს კორეელი როცა გადმოვარდა, მოთხილამურის ჯოხები ეკავა. ვარდნისას ერთი გაუვარდა, მეორე კი შერჩა — სწორედ ის, რომელსაც არ ჰქონდა რაღაც მრგვალი, თოვლში ღრმად ჩასობისაგან ჯოხი რომ უნდა შეაკავოს. ჰოდა, ის ჯოხი შემთხვევით ღრმად ჩაერჭო თოვლში და კორეელიც ამან გადაარჩინა. კორეელთა ხელმძღვანელის ჩამოყვანა მესამე ბანაკამდე ძალზე გაგვიჭირდა, რადგან მისი თანაგუნდელი ქალიც ვეღარ დადიოდა დამოუკიდებლად და ჩვენი სედუსოვის უმეთვალყურეოდ დატოვებაც აღარ შეიძლებოდა. ამიტომ მესამე ბანაკამდე ჩამოსვლას თითქმის ექვსი საათი მოვანდომეთ. იმ ღამეს კორეელთა შერპებს თვალი არ მოუხუჭავთ — ცუდად მყოფთ თავს დაჰფოფინებდნენ.**

ქვემოთ დილით ყველანი მოწინავე საბაზოსკენ გაემართნენ და იმ დღესვე ჩავიდნენ. იქ ერთი დღით დაისვენეს, მერე კი ისევ „ჯიპებით" და სატვირთო მანქანით კვლავ ნეპალში გადავიდნენ, რათა იქიდან შიშა პანგმასკენ მიმავალ გზას დადგომოდნენ.

მანამ კატმანდუში ჩასულები ისვენებდნენ, იქ ჩო-ოიუზე მყოფი სხვა ექსპედიციებიც რიგ-რიგობით დაბრუნდნენ. მათგან გაიგეს, რომ მწვერვალზე ვერ ასულან პოლონელთა, ესპანელთა, იტალიელთა, ანდორელთა, იაპონელთა ექსპედიციები და ვერც საერთაშორისო ექსპედიციის წევრები. იქ ყოფილა კიდევ ერთი — ყაზახთა და იაპონელთა გაერთიანებული ექსპედიცია. მათგან სამნი, ორი ყაზახი და ერთიც იაპონელი მესამე ბანაკში ასულან. ღამისთევის მერე იაპონელს უთქვამს, ზემოთ უჩემოთ წადით, რადგან მე ასვლა აღარ შემიძლიაო. ყაზახები მართლაც ასულან მწვერვალზე, მაგრამ მესამე ბანაკში დაბრუნებულთ ის იაპონელი მკვდარი დახვედრიათ. მეორე დღეს ახლა ერთ ჩეხ მთამსვლელს დაულევია სული გადაღლის, ორგანიზმის გამოფიტვისა და ყინვისაგან.

დანარჩენთა ბედი გია თორთლაძემ აღარ იცის, რადგან ის და მისი თანაგუნდელები შიშა-პანგმის მისადგომებისკენ გაემართნენ, რათა ახლა ეს გიგანტი დაემორჩილებინათ ალპურ სტილში.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**დასასრული მომდევნო „სარბიელში"**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია
## “CROCO”

### გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დორტმუნდი — არმინია | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| ამბურგი — კარლსრუე | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| შტუტგარტი — მიონხენგლადბახი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| მიუნხენი — დუისბურგი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| დიუსელდორფი — ბაიერნი | 4,4 | 3,0 | 1,45 |
| კიოლნი — შალკე | 1,35 | 3,0 | 5,6 |

27 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფრაიბურგი — ბოხუმი | 1,6 | 3,0 | 3,4 |

### II ბუნდესლიგა. XII ტური

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — კიკერსი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| კარლ ცაისი — ფორტუნა | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| კ. სლაუტერნი — ოლდენბურგი | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,0 |

27 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლფსბურგი — მეპენი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| გიუტერსლო — ცვიკაუ | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| მაინცი — უნტერჰახინგი | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| ლაიპციგი — მანჰაიმი | 1,4 | 3,0 | 5,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ლიდსი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ჩელსი — ტოტენჰემი | 1,8 | 2,6 | 3,2 |
| ქოვენთრი — შეფილდი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ლესტერი — ნიუკასლი | 5,6 | 3,0 | 1,35 |
| მიდლსბრო — უიმბლდონი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| საუთჰემპტონი — მანჩესტერი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| სანდერლენდი — ასტონ ვილა | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ვესტ ჰემი — ბლექბერნი | 1,4 | 3,0 | 5,0 |

27 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლივერპული — დერბი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0,1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |

28 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნოტინგემი — ევერტონი | 1,7 | 2,7 | 3,4 |

### I დივიზიონი. XV ტური

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — ბოლტონი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ბირმინგემი — ნორვიჩი | 2,2 | 2,5 | 2,5 |
| ჩარლტონი — ოქსფორდი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| კრისტალ პალასი — გრიმსბი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ჰადერსფილდი — პორტ ვეილი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| იფსვიჩი — ტრანმერი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| სიტი — ვულვერჰემპტონი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| ოლდემი — საუთენდი | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| რედინგი — სვინდონი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| შეფილდი — ქუინზ პარკი | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| სტოკ სიტი — პორტსმუთი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ვესტ ბრომვიჩი — ბრედფორდი | 1,25 | 3,2 | 7,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. VII ტური

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რომა — იუვენტუსი | 1,8 | 2,7 | 3,1 |
| ატალანტა — ლაციო | 2,0 | 2,7 | 2,7 |

27 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიორენტინა — მილანი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ინტერი — პარმა | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ნაპოლი — ბოლონია | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| პერუჯა — უიდნეზე | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| პიაჩენცა — ვერონა | 1,5 | 2,7 | 4,7 |
| რეჯანა — სამპდორია | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ვიჩენცა — კალიარი | 1,5 | 2,7 | 4,7 |

### სერია B. VIII ტური

27 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — ემპოლი | 1,45 | 2,8 | 5,0 |
| დი სანგრო — პადოვა | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| ჩეზენა — ვენეცია | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| კოევო — ბრეშია | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| პალერმო — რავენა | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| კოზენცა — რეჯინა | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| კრემონეზე — ლეჩე | 2,8 | 2,8 | 1,9 |
| ჯენოა — სალერნიტანა | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ლუკეზე — ფოჯა | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ტორინო — პესკარა | 1,45 | 2,8 | 5,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. X ტური

26-28 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპორტინგი — ატლეტიკო | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ბარსელონა — ვალენსია | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ვალიადოლიდი — სევილია | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ბილბაო — ლოგრონიესი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| ესტრემადურა — კომპოსტელა | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| რეალი — ტენერიფე | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| სელტა — სარაგოსა | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| დეპორტივო — სოსიედადი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ერკულესი — რასინგი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ბეტისი — ესპანიოლი | 1,2 | 3,8 | 8,0 |
| რაიო ვალეკანო — ოვიედო | 1,5 | 3,0 | 4,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. VIII ტური

26 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ესპინიუ — პორტუ | 4,7 | 3,1 | 1,4 |
| სპორტინგი — ბენფიკა | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ბოავიშტა — გიმარაეში | 1,5 | 2,6 | 5,0 |

27 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეირია — ბელენენსეში | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| შავეში — სეტუბალი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| რიუ ავე — მარიტიმუ | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| სალგეირუში — ჟილ ვისენტე | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ფარენსე — ლეცა | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| ამადორა — ბრაგა | 1,8 | 2,8 | 3,0 |

### შოტლანდია. მე-10 ტური

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — რეით როვერსი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| დანდი იუნაიტედი — ჰართსი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| დამფერმლაინი — კილმარნოკი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| ჰიბერნიანი — სელტიკი | 4,0 | 3,0 | 1,5 |
| რეინჯერსი — მოზერველი | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |

### სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატებიდან

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე — ტრაბზონსფორი | 1,5 | 2,7 | 4,7 |
| ეინდჰოვენი — როდა | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ფეიენოორდი — უტრეხტი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| სტანდარდი — ანდერლეხტი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| შარლერუა — მეხელენი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ლიერსი — გენტი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| რაპიდი — შტურმი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| გრაცერი — ტიროლი | 3,3 | 2,8 | 1,7 |
| ლინცერი — ზალცბურგი | 4,0 | 3,0 | 1,5 |

27 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დარდანელსფორი — ბურსასფორი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| ისტანბულსფორი — ქოჩაელისფორი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ალთაი — გალათასარაი | 7,0 | 3,4 | 1,2 |
| ვიტესი — აიაქსი | 4,0 | 3,0 | 1,5 |
| ტვენტე — სპარტა | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ბრიუგე — ლომელი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ბაზელი — სიონი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ლოზანა — არაუ | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| იანგ ბოიზი — ქსამაქსი | 6,5 | 3,6 | 1,2 |
| სტ. გალენი — გრასჰოპერი | 2,6 | 2,6 | 2,1 |

### ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | |
|---|---|---|
| ინგლისი (XI ტური) | 24 და ნაკლები - 1,9 | 26 და მეტი 1,9 |
| იტალია (VII ტური) | 22 და ნაკლები - 1,9 | 24 და მეტი 1,9 |
| ესპანეთი (X ტური) | 28 და ნაკლები - 1,9 | 30 და მეტი 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

## CROCO-2

**ტირაჟი №83**

1. ჰამბურგი — კარლსრუე
2. ჩელსი — ტოტენჰემი
3. ქოვენთრი — შეფილდი
4. მიდლსბრო — უიმბლდონი
5. საუთჰემპტონი — მანჩესტერი
6. სანდერლენდი — ასტონ ვილა
7. ატალანტა — ლაციო
8. რომა — იუვენტუსი

**ტირაჟი №83**

1. ფრაიბურგი — ბოხუმი
2. ნოტინგემი — ევერტონი
3. ფიორენტინა — მილანი
4. ნაპოლი — ბოლონია
5. პერუჯა — უდინეზე
6. პიაჩენცა — ვერონა
7. რეჯანა — სამპდორია
8. დეპორტივო — სოსიედადი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება **JACK POT**

**ნანა ალექსანდრია**



საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ოლიმპიური გუნდის კაპიტანი საგანგებოდ „სარბიელისთვის“

# ზედიზედ მესამედ!

## ვინ თქვა, ოლიმპიადა დღესასწაულიაო?



**დასაწყისი წინა „სარბიელში“**

სამ კაცს უჭირს ოლიმპიადის მოგება, გუნდურში ხომ დატვირთვა გაცილებით მეტია. ზედიზედ ექვსი პარტიის თამაშის შემდეგ თვალებში ძლივს იხედებოდა ნანა. ინდივიდუალურში ასეთ ტემპს უფრო ადვილად უძლებ. სადებიუტო პრობლემებიც არსებობს, შეცვლაზე რომ გიბიძგებს. ჯერ კიდევ არის დრო. საგანგაშო არაფერია. ნინოს წონასწორობა უნდა დავუბრუნოთ. სათადარიგოს გარეშე დარჩენა არ შეიძლება. ვინმე რომ ავად გახდეს, რა ვქნათ მაშინ?

მოსკოვის ოლიმპიადის მსგავსად უკრაინასთან მატჩი ერევანშიც ფრედ დამთავრდა — 1,5:1,5. მაიამ სწრაფად და ეფექტურად დაამარცხა გაპონენკო. ნანამ შავებით კარგად გადაითამაშა სედინა, მაგრამ 30-ე სვლაზე, სამწუხაროდ, ვერ მონახა მნიშვნელოვანი სვლა — F6 და ყაიმი.

ის, რაც მესამე დაფაზე მოხდა, ამდენი ხანია ვთამაშობ და არ მოვსწრებივარ. პარტია ნინომ ძალიან ცუდად ჩაატარა. მე-19 სვლაზე იგი ვალდებული იყო ყაიმი დაეფიქსირებინა. „თეთრი ფერის გაფუჭება არ მინდოდაო“, ამიტომ გადაწყვიტა თამაში, უფრო სწორად — წაგება, რადგან სამ სვლაში მდგომარეობა უკვე უიმედო იყო. ასე ხდება ჭადრაკში — როდესაც ნერვები მაქსიმალურად არის დაძაბული, საღი აზროვნების შენარჩუნება ვერ ხერხდება. შედეგად — ყოვლად ულოგიკო გადაწყვეტილებები. 36-ე სვლაზე ნინოს უკვე ორი პაიკი აკლდა. თითქოს ახლოს იყო უსიამოვნო ფინალი, მაგრამ... „ეხლა იწყება თავდაწყება“. ნინო დამშვიდდა და საოცარი თავდაწირვით გააგრძელა ბრძოლა. ჟუკოვას საათი კი ულმობლად მიიწევდა წინ. ეს სერიოზული შანსი იყო. ახალი შვიდსაათიანი კონტროლით ბოლო ნახევარ საათში პარტია უნდა დამთავრდეს, ესე იგი, თუ [illegible] არ ენებდება, უნდა მოასწრო მისი დამთავრება. შვიდსაათიანი ბრძოლა იწურება. უკრაინელ მოჭადრაკეს წამები რჩება, ნინოს წუთები. გაავთრებულმა წინააღმდეგობამ და დროის სიმცირემ ჟუკოვა ააფორიაქა, გადამწყვეტი შეცდომა და პოზიცია უკვე საყაიმოა. ამდენ წვალებას ტყუილად არ ჩაუვლია ყაიმი გარდაუვალია. ახლა უკვე ნინო აღელდა და ჩაფიქრდა. დაფას იმდენი ხანია შემოხვეული, რომ ნინოს საათს ვერ ხედავს. ისევ უხეში შეცდომა, ახლა უკვე ჩვენი მხრიდან და ჟუკოვას პაიკი ლაზიერში გადის. არა უშავს, შამათის მოსწრება სამ წამში შეუძლებელია. მსაჯი აჩერებს საათს და... ნინოს საათზე მიუთითებს. ნინოს წაგება ჩაეთვალა. წარმოუდგენელია. როდის გაფრინდა დრო, ნინოს ხომ საკმაო მარაგი ჰქონდა. ეს მართლაც ტრაგედიაა. ასეთი დარტყმის გადატანა ძალიან ძნელია...

**21 სექტემბერი — VI ტური**

**საქართველო (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია) — ჩინეთი (სიე ჯუნი, ჩუ ჩენი, ვანგ პინი)**

დღეს დიდი ქრისტიანული დღესასწაულია — ღვთისმშობლის შობა. მაიამ ადრე გამაფრთხილა, თუ შესაძლებელი იქნება, დამასვენეო. ახლა, რა თქმა უნდა, ხმას არ იღებს. რა დროს დასვენებაა, მთავარ კონკურენტებს ვეთამაშებით. წინა ორ ოლიმპიადაზე მსოფლიოს მეხუთე და მეექვსე ჩემპიონების დაპირისპირება მაიას გამარჯვებით დასრულდა.

მოსკოვის ოლიმპიადაზე ჩინელებთან ნანა დავასვენეთ. ანგარიში გავუწიეთ ნანას „ჩინურ სინდრომს“. სიე ჯუნს რომ თავი დავანებოთ (მასთან მსოფლიო პირველობის მატჩი იოსელიანმა დიდი ანგარიშით წააგო), ნანას ჩინელებთან საერთოდ უჭირს თამაში. მაგრამ ახლა არც ამას აქვს მნიშვნელობა. ცუდ ფორმაში მყოფ, ტრავმირებულ გურიელს ხომ არ გამოვიყვანთ. ნანას დღევანდელი მეტოქე ჩინელების ახალი ვარსკვლავი, 20 წლის ჩუ ჩენია, რომელმაც სექტემბრის დამდეგს ძლიერი შემადგენლობის ვაჟთა ტურნირში ვაჟი დიდოსტატის ბალი შეასრულა.

ორ საათში საგანგაშო სიმპტომები გამოიკვეთა — სიე ჯუნი კარგად იცავდა თავს და მაიას უპირატესობა აორთქლდა. ნანამ ძველინდურში არასწორი სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღო და მძიმე პოზიციაში აღმოჩნდა, დროც ნაკლები აქვს დარჩენილი. ზურაბ აზმაიფარაშვილმა, პოზიციას რომ დახედა, ხელიც კი ჩაიქნია, ვერ გაუძლებსო. ქეთინომ თეთრებით ცუდად გაითამაშა დებიუტი, მიტელშპილშიც საეჭვოდ თამაშობს. შავებმა იდეალურ „უფიმცევს“ მიაღწიეს და ტექნიკურად დაიწყეს მეტოქის გადათამაშება. სანამ დროა, სამი ყაიმის შეთავაზებაა საჭირო. ვჭოჭმანობ, ვცდილობ, მაიას და ნანას თვალებში ამოვიკითხო თანხმობა. გადაწყდა, ვეძებ ჩინელების კაპიტანს, სამ ყაიმს ვთავაზობ. ჩემი კოლეგა გუნდის ლიდერს სიე ჯუნს ეკითხება აზრს. არ არიან თანახმა. სხვათა შორის, მოსკოვშიც ასე იყო — ორ ყაიმზე უარი მითხრეს, შედეგად — არახამიას მეტოქემ თავი ვალდებულად ჩათვალა აქტიურად ემოქმედა, პოზიცია გახსნა და დაისაჯა. ღმერთმა ქნას, ისტორია განმეორდეს. ნანა ცაიტნოტში ბრწყინვალედ იცავს თავს, საშიშროება უკან დარჩა. ყაიმი. სამწუხაროდ, ქეთინოს პოზიცია უფრო და უფრო მძიმდება, მაგრამ ღმერთი ჩვენს მხარეს არის — ჩინელს აჰყავს „მოწამლული“ პაიკი, ქეთინოს სწრაფი რეაქცია ჩინელის შეცდომაზე და ვანგ პინი აჩერებს საათს.

2:1 — ძნელი, მაგრამ მნიშვნელოვანი გამარჯვება, თუმცა ლიდერები მაინც ვერ გავხდით, ერთი ქულით გვისწრებს უკრაინა. არა უშავს, უკრაინა იმ რანგის გუნდი არ არის, ბოლომდე ნამდვილად ვერ გაძლებს.

**22 სექტემბერი — დასვენების დღე**

სომხეთში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. კვლავ ტერ-პეტროსიანი აირჩიეს. სხვათა შორის, მის მხარდასაჭერად საგანგებოდ, ჩამოფრინდა საფრანგეთში სომხეთის ელჩი შარლ აზნაური, რომელმაც ორი კონცერტი გამართა ერევანში.

**23 სექტემბერი — VII ტური**

**ბულგარეთი — საქართველო (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია)**

გუნდმა დაისვენა, დამშვიდდა. წინ, გამარჯვებისკენ!

მაიამ შავებით თანაბარ დაბოლოებაში დიდხანს აწვალა სტეფანოვა, რომელიც ყაიმზე ოცნებით თავიდანვე ცვლიდა ფიგურებს. მაინც ყაიმი. სამაგიეროდ, გაიმარჯვეს ნანამ და ქეთინომ.

რუსეთმა დაამარცხა უკრაინა. საოლიმპიადო ეკვატორი ლიდერის როლში გადავლახეთ. ნახევარი ქულით ვუსწრებთ რუსეთს და უკრაინას.

ჩვენი საელჩოს „ბიჭები“ (რომლებმაც ოლიმპიადის პერიოდში დიდი სითბო და ყურადღება გამოიჩინეს), როგორც ყოველთვის, დარბაზში გველოდებიან. ძალიან უხარიათ, მაგრამ შეშფოთებასაც ვერ მალავენ — ქალაქში მღელვარება დაწყებულა, პარლამენტის წინ მანუკიანის მრავალრიცხოვანი მომხრეები საარჩევნო კომისიას გაყალბებაში სდებენ ბრალს.

**24 სექტემბერი — VIII ტური**

**საქართველო (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, გურიელი) — უნგრეთი**

ვერ განხორციელდა პოლგარების მამის ლასლოს სურვილი — სამ დას წაერთვა საქართველოსთვის ვერა მენჩიკის თასი. „მთელი ბავშვობა იმას მასწავლიდი, მამაკაცებს უნდა დაუმტკიცო შენი ძალაო, და ეხლა ქალთა გუნდში გინდა მათამაშო“, პასუხობდა იუდიტი. მამა-შვილმა ამჟამად ვერ გამონახა საერთო ენა. იუდიტის უარის შემდეგ არც მსოფლიოს ჩემპიონმა ჟუჟამ მოიხდომა თამაში. ძალიახაც კარგი.

წინა ოლიმპიადაზე ორმა პოლგარმა ვერაფერი დააკლო საქართველოს, ერთი რადას უზამს. მაიამ ბრწყინვალედ მოუგო სოფია პოლგარს (ეს უნგრელის ერთადერთი მარცხი იყო ოლიმპიადაზე). სუფთად ჩაატარა პარტია შავებით ნანამ და ლამაზად დააშამათა მადლი.

ორი წაგების შემდეგ თავისი საყვარელი თეთრი ფერის დანახვა აღარ უნდა ნინოს, მაგრამ რას იზამს, ქეთინო ავად გაგვიხდა. ნინომ ჩათვალა, რომ ოლიმპიადაზე არასაკმარისად გვანერვიულა და რომ ნამდვილი სიხარული მხოლოდ დიდი განცდებით მოდის, და უბრალოდ დასვა პაიკი. გამწარებულმა ნინომ შეძლო გართულებების გამოწვევა, მაგრამ ხარისხში შავებს სამი გადაბმული პაიკი აქვთ. აშენებს ღმერთი უნგრელ მოჭადრაკეს F5-ისათვის. შეცდომა ნინომ ტექნიკურად გამოიყენა. 3:0!

ჩინეთმა 2,5:0,5 დაამარცხა რუსეთი. ახლა უკვე 1,5 ქულით ვუსწრებთ ჩინეთს.

**25 სექტემბერი — IX ტური**

**საქართველო (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, გურიელი) — პოლონეთი**

სასტუმრო „არმენიის“ წინ ტანკები და შეიარაღება გაჩნდა. ქუჩები გადაკეტილია. ღამე და დილითაც სროლის ხმა ისმოდა. ჩვენს უცხოელ კოლეგებს დაძაბულობა ეტყობათ. ჩვენ მსგავს სიტუაციას შეჩვეულები ვართ.

ტურის წინ დარბაზში გამოჩნდა ტერ-პეტროსიანი. სცენაზე ამოვიდა, მაიას ხელი ჩამოართვა და გამარჯვება უსურვა. მშვიდად გამოიყურება. ღმერთმა ნუ ქნას, ოლიმპიადა ჩაიშალოს.

პოლონეთს 2,5:0,5-ზე ვამარცხებთ. მაიამ პრაქტიკულად თანაბარი ენდშპილი მოუგო ბრუსტმანს. რბილად რომ ვთქვათ, ძალიან საეჭვო პოზიცია ჰქონდა ნანას. ბობროვსკამ რატომღაც ფიგურა შესწირა და ძალიან მალე დამარცხდა.

ნინო ერევანში, ეტყობა, მიწისძვრის მოვალეობას ასრულებს. დვორაკოვსკასთან შეხვედრაშიც საკმაოდ შეგვანჯღრია, სრულიად მოგებული პარტია კინაღამ წააგო.

რუმინეთმა დაამარცხა ჩინეთი. მეორე ადგილზე უკრაინამ გადაინაცვლა, რომელსაც უკვე 2,5 ქულით ვუსწრებთ.

**26 სექტემბერი — დასვენების დღე**

**27 სექტემბერი — X ტური**

**რუმინეთი — საქართველო (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია)**

თამაშობს ძირითადი შემადგენლობა. წინა საღამოს ვახშამი რომ ავუტანე, ქეთინომ ყურძენი დამახვედრა — „უკვე ძალიან კარგად ვარ. ქალბატონო ნანა, გთხოვთ, ხვალ მათამაშეთ“. ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი. თერმომეტრიც ქეთინოს მხარეს იყო. გამოჯანმრთელებულ ქეთინოს ბრწყინვალედ მიჰყავდა პარტია, მაგრამ ცაიტნოტში მეორმოცე სვლაზე აბსოლუტურად უაზროდ გადაკეტა უპირატესობის მთავარი არტერია და მოგებული პარტია გააყაიმა.

ტექნიკურად გადაითამაშა ძალიან პერსპექტიული კორინა პეპტანი მაიამ, მაგრამ გამარჯვებისთვის არ ეყო.

ნანასაც ჰქონდა უპირატესობა, მაგრამ სერიოზული პრობლემები მეტოქეს ვერ შეუქმნა. დაღლილობა ეტყობა. პარტიის შემდეგ გამოტყდა, თავს ცუდად ვგრძნობდიო.

1,5:1,5 შავებით რუმინეთთან არ არის ურიგო შედეგი. უკრაინა დამარცხდა ისრაელთან, ჩინეთი — ინგლისთან, და მეორე ადგილზე ჩვენგან სამქულიანი (!) დისტანციით გადაინაცვლა რუსეთმა.

**28 სექტემბერი — XI ტური**

**ინგლისი — საქართველო (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია)**

ნანა ძალიან ცუდად გრძნობს თავს. განაცხადის გაკეთებამდე რომ დავურეკე — არა მიშავს, ვითამაშებო, მითხრა. მაინც უნდა გამომეცვალა. წინა დღეს ინგლისმა ჩინეთი რომ დაამარცხა (2,5:0,5!), ეს მაფიქრებდა. ახლა რაღას ვიზამთ, უნდა ითამაშოს. ნანა სადილზე არ ჩამოსულა. ძლიერი წამლები მივეცი და ისვენებს.

ისევ შავებით ვართ, ისევ 1,5:1,5.

მაიამ რატომღაც არ მოინდომა სიცილიურის თამაში. ფრანგულში ლალიჩმა თითქმის ყველა ფიგურა გაცვალა — ყაიმი.

ნანამ შეძლო უპირატესობის მიღება, მაგრამ მძიმედ თამაშობს. ძალიან კარგი, რომ ინგლისელმა პოზიციის სამჯერ გამეორება დააფიქსირა და ყაიმი მოითხოვა.

ქეთინომ უარესი პოზიცია მიიღო ძველინდურში, მაგრამ შეძლო თავის დაცვა. აქაც ყაიმი.

რუსეთმაც 1,5:1,5 ითამაშა ისრაელთან. უკრაინამ დაამარცხა საბერძნეთი და მეორე პოზიცია დაიბრუნა.

**29 სექტემბერი — XII ტური**

**ისრაელი — საქართველო (ჩიბურდანიძე, არახამია, გურიელი)**

სანამ არ წაიქცა, არ გამოვცვალე ნანა. მას არცერთი პარტია არ გამოუტოვებია. 11-დან 9 ქულა აქვს.

მაიამ კარო-კანის დაცვა ირჩია, და ისევ ყაიმი.

ქეთინომ ძალიან ადვილად დაამარცხა ციფანსკაია.

ნინომ დებიუტში საეჭვო პოზიცია მიიღო, მაგრამ როცა გაუჭირდა, ბრწყინვალე იდეა მონახა — 42.A3 და 43.[illegible] ფიგურების გააქტიურებით. 51-ე სვლაზე დაფიქსირდა ყაიმი.

ორი ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ, როგორც იქნა გავიმარჯვეთ — 2:1

უკრაინამ ვერ დაამარცხა უნგრეთი და დაკარგა მეორე ადგილი, ახლა უკვე სამუდამოდ.

დარჩა მხოლოდ ორი ტური. ჩვენს გუნდს 26,5 ქულა აქვს და 2,5 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე გადმოსულ ჩინეთს და რუსეთს. მართალი გითხრათ, ეს უკვე გადამწყვეტი სხვაობაა, თუმცა, სიფრთხილე მაინც არის საჭირო.

**30 სექტემბერი — XIII ტური**

**გერმანია — საქართველო (იოსელიანი, არახამია, გურიელი)**

ზედიზედ მეოთხედ — შავი ფერით, ისიც ფინიშზე, ესე იგი, ძლიერ გუნდებთან პაექრობაში. ეს უკვე მეტისმეტია. „კენჭისყრის ჩატარების კანონები არ დაგვირღვევია“, მპასუხობს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი არბიტრი გისენი (სხვათა შორის, თუ მისი მსაჯობა გინდათ, იცოდეთ, გისენი თავის თავს 10 000 დოლარად აფასებს).

„ამდენი შავებით თამაში აღარ შემიძლია“, წკმუტუნებს მაია. მოსკოვის ოლიმპიადა მახსენდება. იქაც ბოლო ტურის წინ შევცვალე გუნდის ლიდერი. ისიც გამახსენდა, გუნდის შემადგენლობაზე განაცხადის ჩატანის შემდეგ ჩემს ოთახში რომ მოვბრუნდი, მე და მაიამ როგორ დავლიეთ გულის წვეთები და როგორ მივაყოლეთ ვალიდოლი.

მაშ ასე, დღეს სცენაზეა სვანური დუეტი: კახიანი — იოსელიანი. ნათესაურმა გრძნობამ იფეთქა. ყაიმი მეთერთმეტე სვლაზე.

ძალიან კარგი პარტია მოიგო ქეთინომ, ლამაზად დაამათა მეფე.

ნინოს პარტია თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. 41-ე სვლაზე მეტოქემ ყაიმი შესთავაზა. ნინოს თამაში უნდოდა, მაგრამ ყაიმზე შევათანხმე.

ამ მატჩშიც 2:1 გავიმარჯვეთ. ჩინეთმაც დაკარგა ერთი ქულა. სამაგიეროდ, მოულოდნელად რუსეთმა მშრალი ანგარიშით დაამარცხა ინგლისი და ჩვენს შორის სხვაობა 1,5 ქულამდე შემცირდა.

**1 ოქტომბერი — XIV უკანასკნელი ტური**

**საქართველო — ყაზახეთი**

**რუსეთი — უნგრეთი**

**სლოვაკია — ჩინეთი**

რა კარგია, რომ ყაზახეთი გვერგო და ავცდით იუგოსლავიას.

თამაშობს ძირითადი შემადგენლობა. ნინო კაპიტნის თანაშემწის ფუნქციას ასრულებს — კოეფიციენტების დასაფიქსირებლად ფურცლები დავურიგე, ჩვენთვის მნიშვნელოვანი მატჩების მინიშნებით და დარბის დარბაზში, რომ არაფერი გამორჩეს. ყოფილა შემთხვევა, ერთნაირი ქულების მქონე გუნდებში ოლიმპიადის ჩემპიონობა ბანგლადეშ-მაკაოს მატჩს გადაუწყვეტია...

თამაშის დაწყებიდან დაახლოებით ორი საათია გასული. მაია და ნანა კარგად დგანან. ქეთინოს ლაზიერი არ მომწონს A1-ზე. რაც მთავარია, თვითონ მოსწონს. მე და ნონა ყავის დასალევად მივდივართ. ყავა უცებ გადავკარი. ვერ ვისვენებ. ნონამ შემატყო და მითხრა, წადი, დამტოვეო. სცენაზე ამოვედი. რას შვრება რუსეთი? მეორე დაფაზე მატვეევა — ყაიმი! ეს უკვე გამარჯვებაა!! ვეძებ ყაზახეთის კაპიტანს. არ ჩანს. პირველ დაფას — ელვირა სახატოვას ვეუბნები: სამ ყაიმს გთავაზობთ-თქო. თანახმა ვართ, სიხარულისგან არც კი დამამთავრებინა სიტყვა. მე და ელვირამ ჩვენ-ჩვენს მწკრივს ჩამოვუარეთ, ყაიმები დავაფიქსირეთ. მაია, ნანა, ქეთინო კითხვის ნიშნიანი თვალებით მიყურებენ. „მატვეევა კარგი გოგოა“, ვეუბნები და... აირია მონასტერი: მილოცვები, კოცნა, ნანას და ნინოს ცრემლებიც მოადგათ. ვაჟა შუბლაძე სიხარულისგან ჭკუაზე არ არის. საელჩოში გარბის, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს უნდა ახაროს გამარჯვება.

ესეც ასე... ზედიზედ მესამედ! რა ბედნიერება იქნებოდა, ბიჭებსაც რომ წამოეკრათ ხელი მედლისთვის. არადა, ბრინჯაოსთან რა ახლოს იყვნენ...

ვფიქრობ, მომავალ ოლიმპიადაზე მომავალი თაობა შეძლებს გუნდში „შეღწევას“. ვინც არ უნდა იყოს, ძალიან გაუჭირდება. საქართველოსთვის წარმატება ხომ მხოლოდ პირველი ადგილია. რას იზამ, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი — მხოლოდ პირველი ადგილი. შევეგუოთ ბედს. მადლი ვუთხრათ უფალს და ქართველი ქალის ნიჭიერებას.

# ყინულის ჰოკეი

## ეროვნულ ლიგაში

22. X. ედმონტონი — პიტსბურგი 5:2
23. X. რეინჯერსი — ვაშინგტონი 2:5, ფლორიდა — ოტავა 5:2, დალასი — დეტროიტი 1:4, ვანკუვერი — კოლორადო 1:4

უმეტესი ყურადღება დალასისკენ იყო მიპყრობილი — ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი შარშანდელ ჩემპიონ დეტროიტს მასპინძლობდა. სამშაიბიანი სხვაობა სულაც არ ასახავს რეალურ ვითარებას: თამაში თანაბარი იყო, ოღონდ ეგაა, შეტევების დაგვირგვინებისას სტუმრები უფრო ზუსტნი იყვნენ. კვლავ გაიბრწყინა აიზერმანის ახლად შედგენილმა სამეულმა — ექს-პარტფორდელმა შენაჰენმა ისევ დუბლი გააკეთა, ერთიც ჯონსონმა დაამატა. უნდა ითქვას, რომ წინა შეხვედრებისაგან განსხვავებით დეტროიტი კარგად იყენებდა რიცხობრივ უპირატესობას.

იყოჩაღა ფლორიდამაც. მისმა მეტოქე ოტავამ აქტიურად კი დაიწყო სეზონი, მაგრამ ახლა ვერაფერი გააწყო. პანტერებისგან სამი შაიბა ევროპელებმა შეაგდეს. ოტაველმა იაშინმა მე-6 გოლი გაიტანა.

გამწარებულმა კოლორადომ შანსი არ დაუტოვა ვანკუვერს. თუმცა ანგარიში მასპინძლებმა (სელინჯერმა) გახსნეს, შემდეგ ოთხი გაუშვეს. კოლორადოს ლიდერებმა საკიკმა და ფორსბერგმა კიდევ უფრო გაზარდეს ქულათა მარაგი: 18 (4+14) და 13 (5+8).

ლეგენდარულმა გრეცკიმ 8-მატჩა ქულიან სერიას ერთი პასიც მიამატა, მაგრამ მისმა რეინჯერსმა მაინც წააგო ვაშინგტონთან. უცნობმა კლიმ მცველთა უხეში შეცდომით ისარგებლა.

წინადღით კვლავ დამარცხდა პიტსბურგი. ედმონტონში პინგვინები 35-ე წუთამდე წინ იყვნენ 2:0 (ერთი შაიბა ლემიომ შეაგდო), მაგრამ დებიუტანტმა სმითმა და კოვალენკო — არნოტ — მაკამონდის სამეულმა პიტსბურგი აშკარად დაჯაბნა. სმითის ანგარიშზე უკვე 7 გოლია. პიტსბურგს 1983-84 წლების შემდეგ უცუდესი სტარტი აქვს — 8 თამაშიდან 4 ქულა.

24. X. ბოსტონი — ტორონტო 1:2, პარტფორდი — ანაჰაიმი 4:1, ბუფალო — მონრეალი 6:3, ნიუ-ჯერსი — სან-ხოსე 3:1, ტამპა — ოტავა 2:5, ჩიკაგო — სენტ-ლუისი 6:4, კალგარი — პიტსბურგი 7:5, ლოს-ანჯელესი — ედმონტონი 2:8.

გოლუხვი საღამო იყო. პიტსბურგმა 5-ჯერ აიღო კალგარელი კიდის კარი, მაგრამ მორიგ წაგებას მაინც ვერ გადაურჩა. პინგვინები თითქმის ყველა თამაშში ხსნიან ანგარიშს, მერე ლიდერობენ, მაგრამ მაინც აგებენ. ამჯერად მესამე პერიოდში 5:3 დაწინაურდნენ ლემიოს 3 პასით, იაგრის მე-5 შაიბითა და ფრენსისის 2 გოლით, მაგრამ შემდეგ ზედიზედ 4 შაიბა გაუშვა. აღნიშვნის ღირსია 5 შაიბის გამტანი ტიტოვ — რაიხელ — ფლერის სამეული. ფლერის გოლმა ზედიზედ მესამედ გაამარჯვებინა კალგარის.

ერთი შაიბით ნაკლები შეაგდეს სენტ-ლუისელმა ბლუზმენებმა, მაგრამ ჩიკაგოელთა საძლევად ამდენი ვერ ეყოთ. ქორთაგან „პოლიციელებმა" ამჯერად მათთვის უჩვეულო — ბომბარდირის როლი იკისრეს.

ლოს-ანჯელესელი მეფეები გამოცდილი ხრისტიჩისა და ორი ჯეელის — ციპლაკოვისა და იაჩმენევის რუსულმა სამეულმა დააწინაურეს, მაგრამ გუნდს დაცვამ უმტყუნა — მეორე პერიოდში 6-ჯერ შეცდა, მეკარეებმა ფისემ და დაფომ კი ოთხ-ოთხი შაიბა გაუშვეს.

ეს დღე კიდევ ორი კალიფორნიული გუნდისთვის გამოდგა უიღბლო. სან-ხოსეს 16 წამში ორი კონტრშეტევა გამოეპარა, ანაჰაიმმა კი 57-ე წუთზე სელიანეს მე-6 გოლით ჩამორჩენა ოდენ მინიმუმამდე შეამცირა.

7 თამაშში მხოლოდ მეორედ წააგო ტამპამ. რუსმა იაშინმა იგი ორი შაიბით დაასაჩუქრა და 8 შაიბით ფინიქსელ გარტნერს გაუსწრო.

კარგი სტარტის შემდეგ წაიფორხილა მონრეალმა. ბუფალოელმა აგრესორებმა შეძლეს მონრეალის ტექნიკური თავდასხმის მოშთობა და პლანტი — პოლცინგერის 3 შაიბით სანადელს მიაღწიეს. მონრეალელმა კოივუმ მე-12 (4+8) ქულა მიითვალა.

ტორონტოელებმა კლარკმა (1+1) და მეკარე პოტვინმა (27 მოგერიება) ლომის წილი დაიდეს თავისი კლუბის ზედიზედ მეორე გამარჯვებაში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | |
| პარტფორდი | 5 | 0 | 1 | 21-13 | 10 |
| ოტავა | 3 | 3 | 2 | 26-23 | 9 |
| ბუფალო | 4 | 0 | 4 | 20-23 | 8 |
| მონრეალი | 3 | 2 | 3 | 32-31 | 8 |
| ბოსტონი | 3 | 1 | 3 | 24-23 | 7 |
| პიტსბურგი | 2 | 0 | 7 | 22-41 | 4 |
| **ატლანტიკა** | | | | | |
| ფლორიდა | 5 | 3 | 0 | 26-11 | 13 |
| ტამპა | 5 | 0 | 2 | 30-23 | 10 |
| ფილადელფია | 5 | 0 | 4 | 22-21 | 10 |
| რეინჯერსი | 3 | 2 | 5 | 29-31 | 8 |
| ნიუ-ჯერსი | 3 | 1 | 3 | 16-19 | 7 |
| აილენდერსი | 1 | 2 | 4 | 16-20 | 4 |
| ვაშინგტონი | 2 | 0 | 5 | 19-24 | 4 |
| **ცენტრი** | | | | | |
| დალასი | 7 | 0 | 2 | 27-21 | 14 |
| ჩიკაგო | 6 | 0 | 3 | 25-18 | 12 |
| დეტროიტი | 5 | 0 | 4 | 23-14 | 10 |
| სენტ-ლუისი | 5 | 0 | 5 | 29-26 | 10 |
| ფინიქსი | 3 | 1 | 4 | 19-18 | 7 |
| ტორონტო | 3 | 0 | 5 | 18-27 | 6 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | |
| კალგარი | 6 | 0 | 4 | 32-25 | 12 |
| ედმონტონი | 6 | 0 | 4 | 35-30 | 12 |
| კოლორადო | 5 | 1 | 4 | 39-26 | 11 |
| ლოს-ანჯელესი | 4 | 0 | 6 | 28-38 | 8 |
| სან-ხოსე | 3 | 2 | 5 | 27-36 | 8 |
| ვანკუვერი | 3 | 0 | 5 | 22-27 | 6 |
| ანაჰაიმი | 1 | 2 | 7 | 23-40 | 4 |

# რაგბი

## ქემფიზი ღმერთია!

მსოფლიოს უპირველესი მელელოე — სიდნეელი დევიდ ქემფიზი ორშაბათს 34 წლისა მოიყარა, ოთხშაბათს კი ავსტრალიის ნაკრებ „ვოლაბების" ოქროსფერი კვართი ტესტ-მატჩებში მეასედ (!) ჩაიცვა. „კამპოდ" ცნობილი დიდი გარემარბის იუბილე პადუაში, იტალიის ნაკრებთან შეხვედრას დაემთხვა.



ქემფიზის წინაპრები სწორედ რომ ჩრდილოეთი იტალიიდან ყოფილან, თავად კი ავსტრალიური ზამთრის არდადეგები ბევრჯერ გაუტარებია მილანში და იქაური გუნდის შემადგენლობაში იტალიის ჩემპიონობაც მოუხვეჭია.

ახლაც, სტადიონზე შეკრებილი 7 ათასი ქომაგი სანახევროდ თავისიანს მხურვალე ოვაციით, ფეხზე წამომდგარი შეეგება. ტრიბუნაზე ბაირაღიც კი გაეშალათ, რომელსაც ეწერა, მავანს ღმერთი სწამს, ჩვენ კი — ქემფიზიო!

კარგად ვერც კამპომ ითამაშა და ვერც „ვოლაბებმა". თამაშის შემდეგ ამერიკელი მსაჯის — ედ სორენსენის საქციელით ერთობ უკმაყოფილო დარჩა მასპინძელთა ფრანგი მწვრთნელი ჟორჟ კოსტი, რომელმაც განაცხადა, სტუმრები გამარჯვებას სულაც არ იმსახურებდნენ, რაკი ორი ლელო მსაჯმა აჩუქათო.

| იტალია 18:40 ავსტრალია |
|---|
| იტალია: პერტილე; რავაძოლო, ბორდონი, ფრანჩესკატო, მანტერი; დომინგესი, ტრონკონი; დალსიე, ორლანდი, პროპერცი; კრისტოფოლეტო (ბარატინი), სკალია; ჯოვანელი, ზგორლონი, არანჩო. — 2ლ: ბორდონი, დომინგესი; გ, ს, ა: დომინგესი |
| ავსტრალია: ბერქი; პორანი, პერბერთი, პოვარდი, ქემფიზი; ნოქსი (ლითლი), გრეგანი; პარი, ფოლი, პითი; ველბორნი, ილზი; მანუ, ვილსონი, ბრაიალი (რობინსონი). — 4ლ: ვილსონი 2, ჯგუფური (ფოლი), პორანი; 4გ, 4ს: ბერქი |

ქემფიზის პირველსავე წუთზე ფეხი აკინეს და ბოლომდეც ყინულის პაკეტ-დადებულმა ითამაშა, ბერქმა კი საწყის ათ წუთში სამი საჯარიმო გააფუჭა. მერე ბრაიალის გარღვევა ვილსონის ლელოთი დაგვირგვინდა 0:7.

22-ე წუთზე ბორდონმა გაიტანა ლელო, 25-ეზე კი ექს-არგენტინელმა დიეგო დომინგესმა არეკნით იტალია წინ გაიყვანა 8:7, მაგრამ მერე ბერქმა ორი საჯარიმოთი ნახევარი თამაში „ვოლაბებს" 13:8 მოაგებინა.

46-ე წუთზე დომინგესი გაუსხლტა აკოჭლებულ ვეტერან ნოქსს, ლელო თავადვე გარდასახა, მერე კი საჯარიმოც გაიტანა 18:13, რასაც ბერქის ორი გოლი მოყვა 18:19. მერე აურია ამერიკელმა მსაჯმა, ვინაც სტუმრებს ძალისმიერი ლელო ჩაუთვალა. რაგბის მცოდნე ადგილობრივი საზოგადოება შეწყობილად აყვირდა, „იდიოტო, იდიოტოო!"

გარემარბად დაყენებულმა თიმ პორანმა 75-ე წუთზე ლელო რომ გაუტანათ, იტალიელები არც მაშინ დაეთანხმნენ მსაჯს, მაგრამ ბოლო წუთზე ვილსონის მეორე ლელოს დაყაბულდნენ 18:40.

კამპომ, მართალია, თავის სატესტო მონაგარ 64 ლელოსა და 315 ქულას ამჯერად ვერაფერი შემატა, მაგრამ უკმაყოფილო მაინც არ უნდა იყოს, რაკი მეორე დღესვე მილოცვა მიუვიდა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრ ჯონ ჰოვარდისა და გენერალ-გუბერნატორ, სერ ვილიამ დინისგან. სტუმრები რომის პაპის ხილვასაც ეშურებოდნენ, მაგრამ კათოლიკეთა მწყემსი ბრმა ნაწლავის ოპერაციის შემდეგ მთლად ყოჩაღად ვერ ყოფილა და მოსვენება ამჯობინა. სამაგიეროდ, „ვოლაბებს" უკვე აცნობეს, რომ 3 დეკემბერს, ბაქინგემის სასახლეში დედოფალი ელისაბედ მეორე ჩაითი გაუმასპინძლდებათ.

## ულომუოდ, მხოლოდ ვიდირით

დღეს სამხრეთი აფრიკის საშინაო შეჯიბრის — ქარრის თასის ფინალია: შარშანდელი ჩემპიონი ნატალი დურბანში უმასპინძლებს ტრანსვაალს.

ხვალ ზელანდიის პროვინციათა პირველობის ფინალებიცაა ერთბაშად სამ ჯგუფში. პირველისაში შარშანდელი ჩემპიონი ოქლენდი, რომელსაც შემადგენლობაში ნაკრების მორკინალთა უმრავლესობა ჰყავს, უმასპინძლებს ქაუნთიზ-მანუკაუს, ვისაც გარემარბად უყენია დიდი ჯონა ლომუ.

ნახევარფინალები. 19. X. პუკეკოე. ქაუნთიზი 46 (6ლ: ვიდირი 4, შეპარდი, ლეაუპეპე; 5გ და 2ს: ფინი) — ქენთებრი 33 (3ლ: მარშალი, ბლექედერი, მეიერჰოფლერი; 3გ და 4ს: მერთენსი)

20. X. ოქლენდი. ოქლენდი 59 (9ლ: სპენსერი 5, ლიმა 2, ტონუუ, სთენსნესი; 7გ: ქეშმორი) — ოთაგო 18 (2ლ: რაითი, ს. ბეშოფი; გ: ბრაუნი; 2ს: ლეინი)

კარლოს სპენსერს ხალხი გადაურევია სოლო-რეიდებით. მას არ ჩამორჩენია ფიჯელი გარემარბი ჯოელი ვიდირი, ვინაც ფინალში პუკეკოელთა მთავარი დამრტყმელი ძალა იქნება. საქმე ისაა, რომ ლომუს უხეშად შეუბოჭავს ქენთებრის მცველი ქიერან ფლინი, რის გამოც ოთხშაბათს მისცეს ერთკვირიანი ანუ ზუსტად იმოტოლა დისკვალიფიკაცია, ფინალი რომ გაუცდეს.

მედია ერთი პირობა იუწყებოდა, მთაკაცი ამან ისე გაანაწყენა, რომ ნოემბერში ინგლისში შეიძლება აღარ გაყვეს „ზელანდიელ ბარბაროსებსო", მაგრამ ჯონას უელსელმა მენეჯერმა ფილ ქინგსლი-ჯოუნზმა ეს ცნობა უმალ უარყო, ლომუ მხოლოდ მაშინ ვერ იბარბაროსებდა, ტრიბუნალს ხუთ-ექვსკვირიანი სასჯელი რომ მიეცაო.

საქართველოს XXIX პირველობა

### მოწინავე ექვსეული

VI ტური
24 ოქტომბერი

ქუთაისი

**გელათი 12:43 გუმარი**

(5:10). მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი
გელათი — 2ლ: ლილუაშვილი, კუხალეიშვილი; გ: შავგირაძე
გუმარი — 7ლ: ჯიმშელაძე 2, ბუგიანიშვილი 2, ჩიქვინიძე, კიზირია, პარწიკანაშვილი; 4გ: მაჩიტიძე 2, ჯიმშელაძე, კიზირია

ჭყონდიდლის დასახლება

**ყოჩები 33:7 აზოტი**

(28:0). მსაჯი ლევან მგელაძე
ყოჩები — 5ლ: მხეიძე 2, ურუშაძე, ტეფნაძე, ჩიქოვანი; 4გ: ტეფნაძე
აზოტი — ლ და გ: გოგიშვილი
თამაში, წესითა და რიგით, რუსთავის ნაცვლად თბილისში უნდა გამართულიყო, მაგრამ „ყოჩთა" მოთამაშე-მწვრთნელის მალხაზ ჭეიშვილის თქმით, მისმა გუნდმა მოსალოდნელ ავდარში დაზოგა ვაკის სტადიონის მოედანი, რომელზეც იმ დღეს ქორებსა და აიასაც უნდა ეთამაშათ

ვაკე

**ქორები . >>> აია**

აიამ დილით დარეკა რაგბის კავშირის ოფისში და განაცხადა, სათამაშოდ ვერ ჩამოვდივართო. მიუხედავად ამისა, გუშინ ქუთათურები რუსთავში მაინც აპირებდნენ სტუმრობას

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გუმარი | 20 | 18 | 0 | 2 | 607:181 | 85:14 | 36 |
| ყოჩები | 20 | 16 | 0 | 4 | 652:158 | 93-11 | 32 |
| ქორები | 20 | 14 | 0 | 6 | 397:164 | 52-13 | 27 |
| აია | 20 | 10 | 0 | 10 | 429:248 | 55-28 | 18 |
| აზოტი | 20 | 6 | 1 | 13 | 172:470 | 20-70 | 12 |
| გელათი | 20 | 6 | 1 | 13 | 250:562 | 21-86 | 12 |

შემდეგ ტურში — სამშაბათს, 29 ოქტომბერს, თამაშობენ: გუმარი — აზოტი, აია — გელათი და ყოჩები — ქორები

# კეტბურთი

## იშვიათი სასწაული

გულშემატკივარი უკეთესს რომ ვერ ინატრებს, ისე მიმდინარეობს [illegible] მსოფლიო სერია, რომელშიც ამერიკის ლიგის ჩემპიონი „ნიუ-იორკ იანკიზი" და ეროვნული ლიგის რჩეული „ატლანტა ბრეივზი" ერთმანეთს ოთხ მოგებამდე ეჯიბრებიან.



მეხუთე მატჩში იანკების პიჩერმა პეტიტმა მამაცებს პირში ჩალა გამოავლო

სერიას იანკებმა მეტოქეზე იოლად უწიეს — თავიანთი ლიგის პლეი-ოფის ფინალში 13 ოქტომბერს 5 თამაშში (4-1) მოუღეს ბოლო „ბოლტიმორ ორიოლზს", რომლის ბეისმენმა ალომარმა მსაჯს რომ შეაფურთხა, დისკვალიფიკაცია კი გაისამდე გადაუდეს, ამის გამო მსოფლიო სერია კინაღამ ჩაიშალა, რაკი მსაჯთა საძმომ გაფიცვა დააპირა. აქ საქმეში სასამართლო ჩაერია და მსაჯები ბოლ-პარკებზე (კეტბურთის სტადიონებზე) იძულებით დააბრუნა, აქაოდა კეტბურთი მთელი ერის საუნჯეა და მასში ბუტიაობას ვერ შევიწყნარებთო.

მამაცებმა („ბრეივზ"), თედ თერნერი და ჯეინ ფონდა რომ პატრონობენ, თავიანთ ფინალში სასწაული გააჩერხეს: იანკებმა საქმე რომ მოითავეს, ესენი სერიას 1-3 აგებდნენ „სენთ-ლუის კარდინალზთან", მაგრამ ბოლო სამი თამაში სასწაული ჯამური ანგარიშით — 32:1 მოიგეს (14:0 სტუმრად; 3:1 და 15:0 შინ). ეს ყველაფერი ხუთშაბათს, 17 ოქტომბერს დასრულდა, მსოფლიო სერია კი შაბათს უნდა გაჩაღებულიყო ნიუ-იორკში, მაგრამ ბედად ბევრი იწვიმა და ატლანტელებსაც ერთი დამატებითი დღე ერგოთ სულის მოსათქმელად.

მამაცებმა კვირას იანკებს შავი დღე აყარეს — 12:1 დაანგრიეს, ორშაბათს კი პიჩერმა მედაქსმა მასპინძლები მშრალზე დატოვა — 4:0. ატლანტა სტუმრად 2-0 დაწინაურდა და რაკი შემდეგი სამი თამაში შინა ჰქონდა, ყველაფერი თითქოს გარკვეული იყო.

მაგრამ არა, „ვივა, მაკარენაზე" გადარეული ნიუ-იორკელები დანებებას სულაც არ აპირებდნენ. მათაც სასწაული შეიძლეს — სამშაბათიდან ხუთშაბათამდე ატლანტაში სამივე მატჩი მოიგეს. სერია ამჟამად ისევ მათს ქალაქში რომ გაგრძელდება, უკვე 3-2 იქნებიან წინ და საბოლოოდ გასამარჯვებლად ერთი მოგებაც ეყოფათ.

სერიის მესამე მატჩი 5:2 დამთავრდა, მეოთხე — 8:6, მეხუთე — 1:0. მეოთხე თამაშის V ინინგში ატლანტა 6:0 იგებდა, მაგრამ ნიუ-იორკმა ანგარიში გაათანაბრა, ბოლოს კი მსოფლიო სერიების უგრძესი მატჩი დამატებითს, X ინინგში მოიგო.

# ველორბოლა



## 10 მილიონს სთავაზობენ

ფრანგული სპორტული გაზეთი „ლეკიპის" ცნობით, „ტურ დე ფრანსის" ხუთგზის გამარჯვებულ ესპანელ მიგელ ინდურაინს მისივე ქვეყნის გუნდი ონსე 10 მილიონ დოლარს პირდება, სამაგიეროდ კი თხოვს სპორტიდან წასვლა ერთი წლით გადადოს და გაისადაც იასპარეზოს „ტურში".

„დიდ მიგად" ცნობილ ველომრბოლს მთელი კარიერა „ბანესტოს" სახელით ურბოლია, მაგრამ წელს ზედიზედ მეექვსედ რომ ველარ მოიგო „ტური", ესპანურ „ვუელტას" კი დაღლილობის გამო შუა გზაზე შეეშვა, პენსიაზე გასვლა დაიჟინა.

ონსე უმიგოდაც ერთობ ძლიერი გუნდია, „ვუელტაშიც" ყველა დაიბრიყვა, მაგრამ მის უფროსობას თურმე ის არ ეპიტნავება, რომ ლიდერებად უცხოელები — შვეიცარელი ალექს ცულე და ფრანგი ლორან ჟალაბერი ჰყავს.

ამასობაში დიდი ამბები ხდება საფრანგეთშიც. იქაურ სამ ბობოლა ველო-მოხელეს წერილი მიუწერია სპორტის მინისტრისათვის, გვიშველე და დაგვანშენდინე ჩვენი სახეობა, რაკი არნახული სიბინძურე დაგროვდაო. ასე მაგალითად, სამეულის მტკიცებით, მათიანებს წესად უქცევიათ, რომ თუ ვინმე დოპინგზე ჩაუვარდებათ, უმალ გამოაცხადებენ, დაგვიშავდაო და ამით დასჯისგან იხსნიან.

# ავტორბოლა

## მაგნუსენი და ბარიჩელო

დადგინდა ფორმულა-1-ის ახალბედა გუნდ „სთიუართ-ფორდის" შემადგენლობა. თუ მის შეფ ჯეკი სთიუართს აქამდე მხოლოდ ჯეელი დანიელი იან მაგნუსენი შეეპირებინა, სამშაბათს ამას მხარში ამოუყენა „ჯორდანის" ბრაზილიელი პილოტი რუბენს ბარიჩელო, წლევანდელ ჩემპიონატში მერვე ადგილზე რომ გავიდა.

ბარიჩელო ოთხი სეზონია ასპარეზობს ფორმულა-1-ში და 65 დიდ პრიზზეც ურბოლია, მაგრამ სულ ამაოდ. „სთიუართთან" მისი კონტრაქტი სამწლიანია.

ბრაზილიელის კონტრაქტი უნდა სწყენოდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ნაიჯელ მენსელს, ვისაც იმედი ჰქონდა, რომ სამწლიანი უქმობის შემდეგ დიდ სარბიელს დაუბრუნდებოდა. მენსელს „სთიუართ-ფორდში" მოხვედრა იმად ეიმედებოდა, რომ გუნდის შეფს არაერთხელ უთქვამს, ერთი პილოტი აუცილებლად ბრიტანელი უნდა ავიყვანოო.

# თხილამურები

## საბაბს ეძებდა და კიდეც იპოვა

იტალიელმა სამთომოთხილამურე ალბერტო ტომბამ განაცხადა, მსოფლიო თასი მოსაშლელია, ვინაიდან მსოფლიო პირველობა და ოლიმპიადა სავსებით კმარა სახელის დასაგდებადო. ექსცენტრული „ლა ბომბა" თასის საწყის ეტაპებში მონაწილეობას არც აპირებდა, ახლა კი თავის სამართლებლად შესანიშნავი საბუთი მიეცა: ჩრდილოეთ იტალიაში ვარჯიშისას ისეთი მარცხი შეემთხვა, რომ პაერში ხუთ მეტრზე ავარდა და მარცხენა მუხლი და მარჯვენა მაჯა დაიშავა.


„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90




## თქვენც, გოგოებო?

გაოცებულია წყალჯომარდობის საერთაშორისო ფედერაციის (ფინა) მდივანი გუნარ ვერნერი. მას აქამდე ჰგონებია, დოპინგს მარტო მოცურავეები ეტანებიანო, მაგრამ ახლა მექსიკელი სინქრონისტი გოგო პაოლა რამირესიც უმხილებიათ.

ამას მარტში, საფრანგეთის ღია პირველობაზე ასპარეზობისას სინჯში აღმოუჩინეს სტიმულატორი ქლორთალიდონი, ოლიმპიური ნაკრებიდან გარიცხეს, ახლა კი ორწლიანი დისკვალიფიკაციაც მისცეს. ცდომილმა თავის მართლება იმით სცადა, წამალი მენსტრუალური პრობლემების მოსაწესრიგებლად მივიღეო, მაგრამ ფინა არ გაბრიყვდა და განაჩენი იმით გაამაგრა, ეგ პრეპარატი კარგა ხანია შეტანილი შავ სიაში და ექიმს უნდა სცოდნოდაო.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29